კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ბონდო როსტიაშვილი

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვენედი ბენიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი

თბილისი

2020

ანოტაცია

სისხლის სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა ცალკე კოდექსის შექმნა, რომელიც დაარეგულირებდა მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნაშრომის აქტუალობა განისაზღვრება იმით, რომ განვიხილავ არასრულწლოვათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითად ასპექტებს და იმ მიდგომებს, რომელიც დამკვიდრებულია საერთაშორისო სტანდარტებით.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სამართლებრივი შეფასება, მნიშვნელოვანი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს, რათა ზუსტად შევაფასოთ ის ფაქტორები, რაც წინ უძღვის დანაშაულის ჩადენას და შევიმუშაოთ რეკომენდაციები, არასრილწლოვანთა დანაშაულის შესამცირებლად.

კვლევის მიზანია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების სამართლებრივი ანალიზი, პრობლემატიკის გამოყოფა. ასევე საქართველოსა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

კვლევა ეფუძნება შედარებით-სამართლებრივ, ანალიტიკურ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს. კვლევის საფუძველზე მოხდება არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი. ასევე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრინციპებისა და კრიმინოლოგიური ასპექტების განხილვით, საერთაშორისო სტანდარტების ანალიზით, სტატისტიკური მონაცემების შეფასებით და სასამართლო პრაქტიკის საფუძვლიანი შესწავლით შემცირდება ჩადენილი დანაშაულების რიცხვი და არასრულწლოვნები შეძლებენ საკუთარი თავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

Bondo Rostiashvili

The main aspects of juvenile delinquency

Anotacion

In criminal law, great importance is attaching to the criminal liability of minors. That is why it became necessary to create a separate code that would regulate only issues related to juvenile justice. The urgency of the work is determined by considering the main aspects of juvenile delinquency responsibility and the approaches established by international standards.

Legal assessment of juvenile delinquency allows us to make an important analysis because we can accurately assess the factors that precede the commission of a crime and develop recommendations to reduce the number of offences and enable juveniles to realize their potential.

The study aims to legally analyze the main aspects related to juvenile justice, to identify problems. As well as a comparative-legal analysis of the decisions of Georgian and the European Court.

The research is based on comparative-legal, analytical and other scientific methods. The research will be based on the analysis of scientific literature, legal acts and court decisions related to juveniles. As well as statistical data processing.

Based on the above, by reviewing the principles and criminological aspects of juvenile responsibility, analyzing international standards, evaluating statistical data and thoroughly studying case law, the number of crimes committed will be reduced and juveniles will be able to re-socialize and rehabilitate themselves.

სარჩევი

ანოტაცია 2

შესავალი..... 6

თავი I. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ისტორიული მიმოხილვა. ძირითადი ასპექტები და პრინციპები 9

თავი II. არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები 18

2.1 დანაშაულის კრიმინოლოგიური მახასიათებლები არასრულწლოვნებში.....18

2.2 არასრულწლოვანთა დანაშაულობის ბოლო წლების სტატისტიკა.....22

2.3 ლატენტური დანაშაული არასრულწლოვნებს შორის 25

თავი III. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობა..... 30

3.1. აღკვეთის ღონისძიების სახეები და მათი გამოყენების თავისებურებანი.....30

3.2. სასჯელთა სახეები არასრულწლოვნებში 37

თავი IV. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასათან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები..... 47

4.1. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (პეკინური წესები) 47

4.2. გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები). 53

თავი V. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი 59

თავი VI. არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილება (პრევენცია)..... 65

დასკვნა 69

გამოყენებული ლიტერატურა: 71

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები:

იხ. - იხილეთ

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

მაგ. - მაგალითად

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

სსსკ.- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სსსსკ. - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ამკ.- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

შესავალი

საქართველოს სისხლის სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. არასრულწლოვნები ის მოწყვლადი ჯგუფია, რომელიც დიდ ყურადღებას საჭიროებს, რადგან ისინი წარმოადგენენ ქვეყნის მომავლს.

საერთაშორისო პოლიტიკა მიმართულია არასრულწლოვნებისთვის მაქსიმალურად სრულყოფილი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებისკენ. სწორედ ამიტომაა შექმნილი საერთაშორისო პრინციპები და ნორმები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ არასრულწლოვნების ინტერესების გათვალისწინებას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ძირეულ საკითხს წარმოადგენს არასრუწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტების გამოყოფა. პასუხისმგებლობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინება, იმისათვის, რომ დაცული იყოს მათი უფლებები და ყველა ზომა, რომელიც მათ მიმართ იქნება გამოყენებული მიმართული იყოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისკენ. თემის აქტუალობა ზემოთ აღნიშნული გარემოებების გარდა, გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორებით, როგორიცაა საერთაშორისო სტანდარტები და მიდგომები, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასება და დანაშაულთან დაკავშირებული კრიმინოლოგიური ასპექტები. თემის აქტუალობის განსაზღვრისას უნდა გავითვალისიწინოთ ისიც, რომ ნაშრომში განხილულია პრობლემის გადაჭრის გზები და რეკომენდაციები, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც შემცირდება არასრულწლოვან პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი და ისინი უკეთესად შეძლებენ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტების სამართლებრივი ანალიზი, პრობლემატიკის გამოყოფა და

სტატისტიკური მონაცემების შეფასება. ასევე საქართველოსა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. კვლევის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები, რომელიც უკეთ წარმოაჩენს პრობლემის ძირითად მახასიათებლებს და მისი გადაჭრის გზებს. მთლიანობაში კვლევა ეფუძნება შედარებით-სამართლებრივ, ანალიტიკურ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს.

კვლევის ამოცანაა არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის, სასამართლო გადაწყვეტილებების და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

კვლევის პროცესში დავრწმუნდი, რომ მიუხედავად არაერთი სამართლებრივი რეგულაციისა და სახელმწიფოში ჩამოყალიბებული მიდგომებისა, პრობლემა მაშტაბური ხასიათისაა და სრულყოფილი არაა ის რეკომენდაციები, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობითაა დადგენილი, არამედ საერთაშორისო სტანდარტებითაც. საჭიროა განისაზღვროს რა პრობლემები იჩენს თავს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით? და რა გზებითაა შესაძლებელი პრობლემის აღმოფხვრა?

კვლევის საგანს წარმოადგენს არასრუწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება, რადგან თეორიულად ჩამოყალიბებული ნორმების შესაბამისობა მოხდეს ქვეყანაში დამკვიდრებულ პოლიტიკასთან.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევას ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა 21-ე საუკუნეში, რასაც ადასტურებს 2015 წელს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებს ძირითადად აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. არასრულწლოვნებთან მიმართებით უნდა გავითვალისიწინოთ, რომ მათ მიმართ ვერ გატარდება ის ღონისძიებები, რაც სრულწლოვანი პირის შემთხვევაში, რადგან არასრულწლოვანი ფსიქოლოგიურად განსხვავებულად რეაგირებს, მის მიმართ

განხორციელებულ ქმედებებზე. ამიტომაცაა აუცილებელი მათთვის ისეთი გარემოს შექმნა, რაც მათ დანაშაულებრივ გზას ჩამოაცილებს და ყველა გარემოებას შეუქმნის საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისთვის. პრობლემების განსაზღვრასთან ერთად უკეთ გამოჩნდება რა გზებითაა შესაძლებელი ამ პრობლემების აღმოფხვრა.

პრობლემებს, რომელიც არასრულწლოვანთა მიმართ სწორი მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით იჩენს თავს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, რადგან პრობლემებზე არასწორი რეაგიარება გამოიწვევს ქვეყანაში არსებული სტაბილურობის შეფერხებას, რაც უარყოფითად აისახება, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაზე.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოყოფით გამოჩნდება რა მნიშვნელობა აქვს სამართლის ამ ინსტიტუტს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების სრულყოფილი განხორციელებისთვის და ზოგადად ქვეყნისთვის, როგორც ეკონომიკური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ნაშრომი შედგება შესავლის, 6 თავის, დასკვნის და ბიბლიოგრაფიისგან. პირველ და მეორე თავში განხილულია ისტორიული მიმოხილვა, პრინციპები და კრიმინოლოგიური ასპექტები. მესამე და მეოთხე თავში მოცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები და საერთაშორისო სტანდარტები. ბოლო, მეხუთე და მეექვსე თავებში კი განხილულია სასამართლო პრაქტიკა და პრევენცია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს შევამციროთ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები.

თავი I. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ისტორიული მიმოხილვა. ძირითადი ასპექტები და პრინციპები

საქართველოში 1999 წლამდე სისხლის სამართლის სრული პასუხისმგებლობის ასაკი იყო 16 წელი. ამასთან, 14-16 წლის მოზარდების მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობის საკითხი დგებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი იყო მძიმე დანაშაული. 1999 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად ყველა სახის დანაშაულისთვის განისაზღვრა 14 წელი.[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლით განისაზღვრება შეურაცხაობა ასაკის გამო ,,ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.“[2]

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულები იყოფა რამდენიმე კატეგორიად: ნაკლებად მძიმე დანაშაული, მძიმე დანაშაული და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. 14-დან 18 წლამდე მოზარდებს, რომლებსაც დაეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აუცილებელია ექცეოდნენ, როგორც არასრულწლოვნებს.[3]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით არაერთი თეორია არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი არის ანომიის თეორია. ანომია - ,,საზოგადოების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით, ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით. ეს ცნება პირველად გამოიყენა დიურკემმა ნაშრომში „თვითმკვლელობა“ (1897), რათა აღეწერა ისეთი საზოგადოება,

---

[1] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი, გვ. 1.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 33, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426 (ბოლო ვერსია: 04.06.2020)

[3] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები“ გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2011 წელი, გვ. 6.

რომელშიც ინდივიდებს არა აქვთ, ან არ ცნობენ არანაირ მყარ სახელმძღვანელო პრინციპებს იმ გზების შესახებ, თუ როგორ მოექცნენ ერთმანეთს."[4]

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორიაა ეტიკეტირების თეორია, რომელიც პირველად 1938 წელს ცნობილმა ამერიკელმა სოციოლოგმა ფრანკ ტანენბაუმმა ჩამოაყალიბა. ეს თეორია პოპულარული გახადა ასევე ამერიკელმა სოციოლოგმა ჰოვარდ ბეკერმა და ედვინ ლემერტმა. ბეკერი დანაშაულის დეფინირებისა და მისი კონსტრუირებისთვის გამოყოფს ორ დიმენზიას. პირველი დიმენზიის მიხედვით, ის პირები, რომლებიც ქცევის ნორმებსა და წესებს ქმნიან განსაზღვრავენ რომელი ქმედება არის ნორმის დარღვევა და დანაშაული. მეორე დიმენზიის მიხედვით, ის პირები, რომლებიც ამ ნორმებს იყენებენ, ყველა ქმედებას არ მიიჩნევენ დანაშაულად და ამავდროულად ახდენენ ერთგვარ სელექციას. ,,დამნაშავედ" ეტიკეტირებას ახდენენ სპეციალური ორგანოები, ან მათი წარმომადგენლები. ასეთი ორგანოებია: პოლიცია, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები და სხვა. პირის დამნაშავედ გახდომა შესაძლებელია რამდენიმე ეტაპად განვიხილოთ. მოზარდის დამნაშავედ ეტიკეტირება შესაძლებელია განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითის მიხედვით. მოზარდი ჩაიდენს დანაშაულს თავისი პრობლემის მოსაგვარებლად. მოზარდის დანაშაულის შესახებ ვერ შეიტყობს სამართალდამცავი ორგანოები, შესაბამისად ვერ მოხდება მისი ეტიკეტირება. მოზარდი მას შემდეგ რაც მიხვდება, რომ მის მიერ ჩადენილ ქმედებას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეაგირება არ მოყოლია, მას ემატება გამბედაობა, რომ კიდევ ჩაიდინოს დანაშაული. არსებობს იმის ალბათობა, რომ ეს დანაშაული ლატენტური აღარ დარჩეს და მოხდეს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან მისი გამოვლენა.[5]

თეორიებიდან ერთ-ერთი ქოენის სუბკულტურის თეორია წარმოიშვა არასრულწლოვან ვაჟებზე დაკვირვების შედეგად, როდესაც ისინი კრიმინალურ დაჯგუფებებში ხვდებოდნენ. დიდი ალბათობით დაბალი სოციალური ფენის

---

[4] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2864 (ბოლო ნახვა: 17.06.2020).

[5] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები" გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2011 წელი, გვ. 45,45.

ბავშვები ნაკლები ღირებულებების მატარებლები არიან, ვიდრე საშუალო ფენის ბავშვები. დაბალი ფენის ბავშვები ვერ უწევენ კონკურენციას საშუალო ფენის ბავშვებს. კონკურენციის დროს დაბალი ფენის ბავშვებს უყალიბდებათ არასრულფასოვნების გრძნობა. ქოენის მიხედვით, ასეთი მოზარდები კულტურული სისტემის საკუთარ ფორმას აყალიბებენ. [6]

ქოენის მსგავსად ვოლტერ მილერიც ცდილობს დაბალი ფენის მოზარდების ბანდების ფენომენი ახსნას. მისი აზრით, სუბკულტურის წარმოშობის მიზეზია არა ფენებს შორის კონფლიქტი, არამედ დაბალი ფენის ქცევის (მარეგულირებელი) ელემენტი. [7]

მილერის აზრით, დაბალი ფენის კულტურული განვითარების საფუძველი არის ექვსი მნიშვნელოვანი და ცენტრალური ასპექტი. ესენია: სიძნელეები, სიძლიერე, გონებრივი მოქნილობა, აღგზნებადობა, ბედისწერა და ავტონომია. [8]

მილერის აზრით, საზოგადოებისგან ,,გარიყული ჯგუფების“ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები არის შედეგი იმ ნორმებისა და ღირებულებების, რაც დაბალი ფენისთვისაა დამახასიათებელი. ქოენისა და მილერის სუბკულტურებს შორის არსებობს განსხვავება, პირველ რიგში სუბკულტურის ცნებაში. ქოენის მიხედვით, სუბკულტურას დიდი ზეგავლენა აქვს სუბკულტურის წევრთა სტატუსზე. მილერისთვის კი სუბკულტურა საზოგადოებაში ტრადიციებზე დამყარებული ავტონომიური სისტემაა. სწორედ ამიტომ მიაჩნია მილერს, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაული მათი კულტურული ტრადიციების გამო ხდება. [9]

---

[6] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი, გვ. 52, 53.

[7] იქვე. გვ, 53.

[8] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები“ გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2011 წელი, გვ. 50.

[9] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები“ გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2011 წელი, გვ. 50.

ჰირშის მიხედვით კონტროლი გულისხმობს, არა პირდაპირ კონტროლის განხორციელებას, არამედ მჭიდრო კავშირს მშობლებთან და მეგობრებთან. ტრავის ჰირშიმ გამოიკვლია 5545 მოსწავლეების ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 17500 მოსწავლისაგან. 5545 მოსაწავლე შედგებოდა 1479 შავკანიანის და 2126 თეთრკანიანი ბიჭისგან, 1076 შავკანიანი და 864 თეთრკანიანი გოგონასაგან. ამ კვლევებზე დაყრდნობით ჰირშმა აღწერა ,,კონტროლის თეორია". ადამიანებისა და ნორმების კავშირი, ჰირშის მიხედვით, ოთხ ელემენტად იყოფა. ესენია: 1.Commitment (რაციონალური კომპონენტი); 2.Attachment (ემოციური კომპონენტი); 3.Involvement (დროის კომპონენტი) და 4. Belief (მორალური კომპონენტი).[10]

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივაცია შეიძლება სხვადასხვა იყოს. დანაშაულის ჩადენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივს. მოტივაციის ხარისხი ცვალებადია და ის შეიძლება, როგორც შესუსტდეს, ისე გაძლიერდეს. ცალკეული შემთხვევების შეფასებით დგინდება, რომ ცხოვრებისეულმა პირობებმა შესაძლებელია ხელი შეუშალონ, ან ხელი შეუწყონ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას. [11]

ჰირში განმარტავს, რომ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კრიმინალი მშობლები შვილებს უბიძგებენ დანაშაულის ჩადენისკენ არ დასტურდება. ყველაზე მნიშვნელოვანი არის მშობლებსა და შვილებს შორის კარგი ურთიერთობა და არა იმის განსაზღვრა მშობელი დამნაშავეა თუ არა. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა ხელს უწყობს სოციალურ განვითარებას. შვილები, რომლებსაც ცუდი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, პატივს არ სცემენ მასწავლებელთა შეხედულებებს და არ უყვართ სკოლა. ასეთი მოსწავლეები კონფლიქტურები არიან, რადგან მათ ჰგონიათ, რომ რადგან

[10] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება" მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი", თბილისი 2016 წელი, გვ. 55-57.
[11] იქვე. გვ. 58, 59.

სახლში ცუდი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, ასეთივე დამოკიდებულება უნდა მიიღონ მასწავლებლებისგანაც.[12]

დიფერენციალური კავშირის თეორია 1939 წელს ედვინ სათერლენდმა განიხილა თავის წიგნში ,,კრიმინოლოგია". ედვინ სათერლენდი ამერიკელი სოციოლოგი და ჩიკაგოს სკოლის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. მისი თეორია მოიცავდა, როგორც ინდივიდუალურ ისე სოციალურ ფაქტორებს. ამ თეორიას აქვს 9 დებულება, რომელიც პრინციპების სახელითაა ცნობილი, თუმცა თავად სათერლენდი განმარტავს, რომ ეს დებულებები ერთგვარი პროცესია, რომლის შედეგადაც ხდება პიროვნების დანაშაულებრივ ქმედებაში ჩაბმა.[13]

ამ პრინციპების მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედება შეისწავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქცევის მემკვიდრეობით გადაცემა არ ხდება. დანაშაულებრივი ქცევის შესწავლა ხდება სხვა პირებთან კომუნიკაციის დროს. სადაც პირებს ერთმანეთთან პირადი კავშირი აქვთ და ა. შ. [14]

არასრულწლოვანთა დანაშაულის განმარტების კრიმინოლოგიურ თეორიებს შორის ასევე მნიშვნელოვანია ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია. ფრუსტრაცია ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანებს არ ააქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ საკუთარ მიზნებს. ფრუსტრაციის აღძვრა კი ზრდის აგრესიის განხორციელების ალბათობას. მეცნიერებმა ეს ჰიპოთეზა აგრესიული ქცევის ასახსნელად გამოიყენეს. არის შემთხვევები, როდესაც ფრუსტრაცია აგრესიას ზრდის. მაგალითად, ბასმა კოლეჯის სტუდენტებს განაცდევინა სამი ტიპის ფრუსტრაცია. სამივე ჯგუფმა შემდგომში მეტი აგრესია გამოავლინა, იმ

---

[12] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები" გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2011 წელი, გვ. 55-57.

[13] იქვე გვ .58.

[14] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები" გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2011 წელი, გვ. 58,59.

სტუდენტებთან შედარებით, რომლებიც არ იყვნენ ფრუსტრირებულნი. თუმცა, ფრუსტრაციას ყოველთვის არ მივყავართ აგრესიამდე. [15]

თეორიებთან ერთად მნიშვნელოვანია განვმარტოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები, განსხვავებით სისხლის სამართალში დადგენილი ზოგადი პრინციპებისა, აერთიანებს, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ისე პროცესუალურ-სამართლებრივ პრინციპებს. [16] ზოგადი პრინციპები მოცემულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, კერძოდ II თავში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, პირველ რიგში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. [17]

ბავშვის უფლებათა კონვენცია, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას, უპირველეს ყოვლისა მოითხოვს, რომ გათვალისწინებული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვზე ზრუნვის ყველა საჯარო და კერძო დაწესებულება ვალდებულია შეესაბამებოდეს კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. [18] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია მოითხოვს, რომ ყველა სახელმწიფომ უზრუნველყოს, საჭირო ზომების გატარება ქვეყანაში, რათა არ დაირღვეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებები და თანასწორად ისარგებლონ ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით. [19]

ერთ-ერთი პრინციპი, რომლის დაცვაც აუცილებელია არასრულწლოვნებთან და არა მარტო არასრულწლოვნებთან მიმართებით არის დისკრიმინაციის დაუშვებლობა. ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის

---

[15] http://dictionary.css.ge/content/frustration-aggression-hypothesis (ბოლო ნახვა: 19.06.2020)

[16] გვენეტაძე ნ., გოცირიძე გ, თორდია ვ, ,,მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ გვ. 119.

[17] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 4. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

[18] ,,ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“, კანონმდებლობის კვლევა, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017 წელი, გვ. 13.

[19] იქვე, გვ. 13.

შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით განისაზღვრება, რომ ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად უნდა სარგებლობდნენ ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე (რასა, კანის ფერი, ენა, სქესი, რელიგია, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა და სხვა).[20]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება.[21]

აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა შეიცავდეს ისეთ თავებსა და მუხლებს, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება დებულებები, რომლის მიხედვითაც დამნაშევედ ცნობილი ბავშვის მიმართ განხორციელებული ქმედების მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია. ამის ხელშესაწყობად უნდა მოხდეს ბავშვის ღირსების პატივისცემა; წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა და სხვა[22]

ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი აყალიბებს ზოგად პრინციპებს ბავშთა უფლებების შესახებ, რომლის მიხედვითაც: ,,მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი იმ ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად ედება მისი დარღვევა ან ბრალეულადაა მიჩნეული მის დარღვევაში, ისეთ მოპყრობაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვში ღირსების და პიროვნული მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებს ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას და რომლის დროსაც გათვალისწინებულია ბავშვის ასაკი და სასურველია ხელი

[20] საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 1, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=1#DOCUMENT:1; (ბოლო ვერსია: 19.02.2019)

[21] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 6. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

[22] ჰამილტონი, ქ. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013, გვ. 43.

შეუწყონ მის რეინტეგრაციას და მის მიერ საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულებას.“[23]

პრინციპებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანაზომიერების პრინციპს და ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიოტიტეტულობას. თანაზომიერება არასრულწლოვნებთან მიმართებით გულისხმობს, რომ მათ მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ზომა ჩადენილი ქმედების შესაბამისი ანუ თანაზომიერი უნდა იყოს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის გამოყენების ნებისმიერი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ იქნება გამოყენებული, საქმის სასამართლოში განხილვის ნაცვლად, აუცილებელია, რომ არასრულწლოვნის უფლებების დაცვას ემსახურებოდეს. [24]

არასრულწლოვნის თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და ისიც მხოლოდ მცირე დროის განმავლობაში.[25]

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს უფლება აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მონაწილეობდეს, როგორც უშუალოდ, ისე კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. არასრულწლოვნის ადვოკატს უფლება აქვს კანონიერი წარმოამდგენლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში არასრულწლოვნის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას საჩივრის შეტანაზე. ადვოკატის ეს ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. თუ არასრულწლოვნის ადვოკატი და მისი კანონიერი წარმომადგენელი ვერ შეთანხმდებიან, ასეთ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს სრულად უნდა განუმარტონ მისთვის გასაგებ ენაზე უფლებები და ყველა ის პროცესუალური მოქმედება, რომელიც მის მიმართ უნდა განხორციელდეს. ასევე

---

[23] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (1989 წლის 20 ნოემბერი), მუხლი 40, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 (ბოლო ვერსია: 02.07.1994).

[24] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 7 და მუხლი 8. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

[25] ჰამილტონი, ქ. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2011, გვ.49.

არასრულწლოვანს უნდა განემარტოს გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. პროცესი, რომელიც წარიმართება არასრულწლოვნის მიმართ აუცილებელია არ გაჭიანურდეს და სასამართლომ არასრულწლოვნის საქმე პრიორიტეტულად განიხილოს. [26]

არასრულწლოვანთა ნასამართლობას, რაც შეეხება, თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა დანაშაული ნასამართლობა გაქარწყლებულად ჩაითვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო თუ განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს ასეთ შემთხვევაში დანაშაული გაქარწყლებულად ჩაითვლება ამ დანაშაულის სასჯელის მოხდისთანავე. არასრულწლოვანთა ნასამართლობა პრინციპების თავშია მოცემული, მიუხედავად იმისა, რომ იგი არც კონსტიტუციური პრინციპია და არც ზოგადი მნიშვნელობის საკითხი. მიმაჩნია, რომ ამ ნორმის პრინციპების თავში მითითებით კანონდებელს უნდოდა ბავშვის ინტერესები გაეთვალისწინებინა, რადგან არასრულწლოვანმა დანაშაულის გაქარწყლებით უკეთ შეძლოს საზოგადოებაში თავისი ადგილის დამკვიდრება. [27]

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გათვალისწინებული უფლებაა. მე-20 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ,, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“. [28]

---

[26] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 7 და მუხლი 10, 11. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

[27] შალიკაშვილი, მ, მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი, გვ. 85, 86.

[28] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15, იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 (ბოლო ვერსია: 23.03.2018)

თავი II. არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები

2.1 დანაშაულის კრიმინოლოგიური მახასიათებლები არასრულწლოვნებში

არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემა ყოველთვის აქტუალურია კრიმინოლოგიისთვის. ის საკმაოდ სპეციფიურია, რადგან მოზარდი თაობის ბედს ეხება. მომავალში დანაშაულის მდგომარეობა, ტენდენციები და საზოგადოებაში არსებული მორალური კლიმატი დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხდება მისი მოგვარება ამჟამად.

ასეთი ტიპის დანაშაულებს მიეკუთვნება სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებები, რომელიც ჩადენილია 14-დან 18 წლამდე პირთა მიერ. კრიმინოლოგიური მახასიათებლების მიხედვით მათ თან ახლავთ იმ პირთა სოციალურად საშიში ქმედებები, რომელთაც არ მიუღწევიათ იმ ასაკისთვის რომლის დროსაც მათ მიმართ შეიძლება დადგეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

არასრულწლოვანთა დანაშაულის სტრუქტურაში ყველაზე მეტად გავრცელებული დანაშაულია ქურდობა 60 %, ყაჩაღობა 6%, ხულიგნობა 12%. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები მცირე რაოდენობას შეადგენს: განზრახ მკველობები 0.7% სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება 0.7% გაუპატიურება 0.5%.[29]

სხვისი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოცემული ჯგუფისთვის საკმაოდ სპეციფიურია. მაგალითად ქურდობის ჩადენისას მხოლოდ 30% ხელმძღვანელობს ქონების დაუფლების მოტივით, დანარჩენი ნაწილი ისწრაფვის თვითდამკვიდრებისკენ და თანატოლებში ავტორიტეტის მოპოვებისკენ. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების თითქმის 65% ჩადენილია ჟგუფურად. ჯგუფების უმეტესი ნაწილი მერყეობს 3-დან 5

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019 (ბოლო ნახვა: 30.06.2020)

ადამიანამდე. თითქმის ყოველ მეორე არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ჯგუფში, შედიან ის პირები რომელნიც წარსულში უკვე ნასამართლევები არიან.

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ჯგუფური დანაშაულების წილი დაახლოებით 3-ჯერ მეტია, სრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ჯგუფურ დანაშაულებზე. არასრულწლოვანთა ჯგუფური დანაშაულის წილი ყველაზე მაღალია 14 წლის ასაკში, ყველაზე დაბალი კი 17 წლის ასაკში. ჯგუფური დანაშაული უფრო ხშირია ძარცვისას, ქურდობისას, ყაჩაღობის და გაუპატიურების დროს. შედარებით ნაკლები შემთხვევაა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებასა და მკვლელობების დროს.

80-იანი წლების შუაში არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენა უფრო მეტად დამახასიათებელი იყო იმ ადგილებსა თუ რაიონებში სადაც ისინი ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ ან მუშაობდნენ. დღეს-დღეისობით მოზარდების მიერ ჩადენილი ყოველი მესამე ან მეოთხე დანაშაული, ჩადენილია დასასვენებელ ადილებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მდებარეობენ სხვა რაიონში ან უახლოეს დასახლებულ პუნქტებში.[30]

ახალი მოვლენაა დანაშაულის გაახალგაზრდავება არასრულწლოვნებში, სადაც იზრდება რიცხვი ისეთი ქმედებებისა, რომლებიც შეიცავენ დანაშაულის ნიშნებს და მათი ჩამდენები არიან პირები 14 წელს ქვემოთ. მცირეწლოვანთა ჯგუფების მიერ ჩადენილი ქურდობები, ძარცვები, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები, მიმართული პირის წინააღმდეგ არ იღებს შესაბამის შეფასებას, ხოლო პირები რომლებიც ჩადიან ასეთ დანაშაულებს, როგორც წესი დაუსჯელები რჩებიან.

პიროვნული მახასიათებლების შესწავლისას, კრიმინოლოგები მუდმივად აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის მამრობითი სქესი ყოველთვის ჭარბობდა, რასაც ბოლო წლების სტატისტიკაც ადასტურებს 95.8% ბიჭები ხოლო 4,2% გოგონები.[31]

---

[30]შირაკოვი გ, ,,კრიმინოლოგია," მინსკი 2006 წელი, თავი 11.

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019 (ბოლო ნახვა: 30.06.2020)

ამასთან ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები გვაჩვენებს რომ გოგონების მიერ ჩადენილი დანაშაულების წილი იზრდება. უფრო მეტიც, მდედრობითი სქესის არასრულწლოვნები ახლა ჩადიან არა მხოლოდ ისეთ დანაშაულობებს, რომლებიც მათთვისაა დამახასიათებელი: ქურდობა, თაღლითობა, არამედ სულ უფრო და უფრო ხშირად ხდებიან ხულიგნობის, ყაჩაღობის, ქუჩური გარჩევებისა და პირის მიმართ ჩადენილი მძიმე დანაშაულის მონაწილეები.

დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნები, როგორც წესი ცხოვრობენ მშობლებთან ერთად. ბოლო წლების განმავლობაში, მარტოხელა ოჯახებში გაზრდილი ბავშვების წილი, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, შემცირდა და უახლოვდება ზოგად სტატისტიკურ მაჩვენებელს.[32]

კრიმინოგენური ქცევის ფორმირებას ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს მშობლების მხრიდან უყურადღებო დამოკიდებულებამ, რომლებიც ხვდებიან ისეთ შემთხვევებში, როდესაც მათ ისიც კი არ იციან თუ სად არის გვიან საათებში მათი არასრულწლოვანი შვილი. ასეთი მშობლები თავის დროზე არ ცდილობენ გამოარკვიონ ის უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც მათ შვილებზე მოქმედებს. სწორედ ასეთ შემთხვევებში უნდა ითამაშოს სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი და თავის დროზე ჩართოს საქმეში შესაბამისი ორგანოები მსგავსი ოჯახების დასახმარებლად.

განსაკუთრებით მწვავე სიტუაციაა ისეთ ოჯახებში სადაც არაფერი იცვლება უკეთესობისკენ და ბავშვი ვერ ვითარდება პოზიტიური მიმართულებით. იური ანტონიანი მნიშვნელოვან კრიმინოგენურ ფაქტორებს მიაკუთვნებს შემდეგს:

1) ნეგატიური პროცესები ოჯახში. პირველ რიგში ავტორს მხეედველობაში აქვს, ის ოჯახები რომელთაც არ სურთ რომ ბავშვს აღმოუჩინონ აუცილებელი დახმარება, აკონტროლონ მისი ქცევა, იზრუნონ მასზე და რაც მთავარია უბრალოდ უყვარდეთ ის. მშობლების სიყვარული ბავშვის მიმართ წარმოქმინის აუცილებელ ემოციურ სითბოს მათ შორის. აქვე

[32] იქვე.

ავტორი აღნიშნავს სასტიკ მოპყრობას, შეურაცყოფას, სახლიდან გაგდებასა და მზრუნველობის არქონას.[33]

2) ასაკით უფროსის უარყოფითი მაგალითი, განსაკუთრებით იმის ვისთანაც არასრულწლოვანს ემოციური კონტაქტი გააჩნია, მისგან იღებს როგორც ჩვეულებრივ და მისაღებ მოვლენად.

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც რომ უმეტეს, ნასამართლევ პირს ახლო ნათესავები ყავდათ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, მოიხმარდნენ სპირტიან სასმელებს ან იყვნენ ნარკოდამოკიდებულები. როგორც წესი ბავშვები ასეთი ოჯახებიდან გარბიან რთული ოჯახური ურთიერთობების გამო, რასაც თან სდევს სკანდალები და ძალადობა მშობლების მხრიდან.[34]

აქედან გამომდინარე, გამოვარკვიეთ ის კრიმინოგენური ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვნის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ფორმულირებაზე, შეიძლება დავასკვნათ რომ მთავარი ფაქტორი, რომელიც ასეთ ზეგავლენას ახდენს ბავშვის ქმედებებზე არის ოჯახური პრობლემები.

[33] ანტონიანი, ი., ,,კრიმინოლოგია“, მოსკოვი 1992 წელი, გვ. 172-173.
[34] ანტონიანი, ი., ,,კრიმინოლოგია“, მოსკოვი 1992 წელი, გვ. 172-173.

2.2 არასრულწლოვანთა დანაშაულობის ბოლო წლების სტატისტიკა

საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების პროცესმა სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციამ უშუალოდ იმოქმედა კრიმინოლოგიურ ვითარებაზე არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდებში.

ამ საუკუნის დასაწყისში სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების მხოლოდ 15% იყო ისეთი გამამტყუნებელი განაჩენი, რის დროსაც არასრულწლოვან ბრალდებულებს მოუწიათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრა. ყოველწლიურად ეს მაჩვენებელი უფრო და უფრო იზრდებოდა. 2006 წლისთვის ეს მაჩვენებელი 2.5-ჯერ გაიზარდა. არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის მაჩვენებელმა პიკს 2007 წელს მიაღწია, (426) როდესაც ქვეყანაში მაშინდელმა მთავრობამ დანაშაულთან ბრძოლის იარაღად ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა. ამხელა ციფრის მაჩვენებელი არ იყო ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის სახარბიელო. ეს გამოწვეული იყო იმით რომ მაშინდელი სახელმწიფო პოლიტიკა იყო უმკაცრესი და არ არსებობდა ისეთი საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები როგორიცაა განრიდება-მედიაციის პროგრამა.[35] სიტუაცია შეიცვალა მთავრობის ცვლილების შემდეგ, როდესაც ახალმა მთავრობამ შედარებით ლიბერალური პოლიტიკის გატარება დაიწყო ამ მიმართულებით და იგი ამით საერთაშორისო სტანდარტებს უფრო მიუახლოვდა.

2017-2018 წლებში არასრულწლოვანთა წინააღმდეგ გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებათა რაოდენობას შეადგენდა სულ 224 განჩნება. აბსოლუტური უმრავლესობა გამოტანილი განჩინებებისა იყო გირაო (114) და მეთვალყურეობაში გადაცემა (59).[36]

---

[35] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება'', მეორე გამოცემა, (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წ., გვ. 12.

[36] აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო. ადამიანის უფლებათა ცენტრი. თბილისი 2019.

უკანასკენელი სტატისტიკური მონაცემები კი ასეთია:



გოგონები- ქურდობა 7, სხვა დანაშაული 2.

ბიჭები-განზრახ მკვლელობა 2, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება 4, ქურდობა 179, ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გასაღება 4, სხვა დანაშაული 91.[37]

2020 წლის იანვრის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (47) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 13 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 0.7%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 27.7%-ს შეადგენს.

2020 წლის თებერვლის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (50) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 17 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი

[37] https://www.geostat.ge/ka (ბოლო ნახვა: 17.06.2020).

რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 0.9%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 34.0%-ს შეადგენს.

2020 წლის მარტის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (52) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 19 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.0%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 36.5%-ს შეადგენს.

2020 წლის აპრილის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (48) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 18 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.0%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 37.5%-ს შეადგენს. [38]

[38] https://www.geostat.ge/ka (ბოლო ნახვა: 17.06.2020).

2.3 ლატენტური დანაშაული არასრულწლოვნებს შორის

არასრულწლოვანთა ლატენტური დანაშაულის პრობლემებს შორისაა ერთ-ერთი საწყისი, მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანი პრობლემა, ამიტომაც ამ საკითხის მთლიანი მასშტაბის შემდგომი შესწავლისთვის უნდა განვსაზღვროთ მისი მოცულობა და ბუნება, რაც შემდგომში დაგვეხმარება სასურველი ფენომენის განსაზღვრაში.

მინიმუმ ორი გარემოებაა ისეთი რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოცემული პრობლემის გადაჭრას. პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეროვნულ კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში ეს პრობლება, როგორც ცალკე აღებული, ჩადენილი დანაშაული არასრულწლოვნების მიერ, მაინცდამაინც არაა კარგად განხილული, რაც რა თქმა უნდა შესამჩნევი სიცარიელეა ქართულ კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში. მეორე გარემოებას უკავშირდება ის ფაქტი, რომ კრიმინოლოგთა შორის ჯერ არ მომხდარა ერთიანი ხედვისა და აზრის შეჯერება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია ლატენტური დანაშაულის ცნება, მის ნაირსახეობებთან მიმართებაში.

თავის მხრივ, არსებული ვითარება მნიშვნელოვნად ართულებს ლატენტური დანაშაულების ნაირსახეობების განსაზღვრას, როგორიცაა მაგალითად ლატენტური დანაშაული: ეკოლოგიის სფეროში, ეკონომიკის სფეროში, არასრულწლოვნებში და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირველ რიგში აუცილებელია რომ ჯერ დადგინდეს ლატენტური დანაშაულის ზოგადი კონცეფცია და მხოლოდ ამის შემდეგ შემდეგ გადავიდეთ ჩვენს თემაზე, რომელიც ეხება ლატენტურ დანაშაულს არასრულწლოვნეში. კრიმინოლოგიური ლიტერატურის ანალიზს, ლატენტური დანაშაულის რამოდენიმე კარგი განმარტება და მიდგომა მოყავს. მოკლედ მოვიყვან ყველაზე დმახასიათებელ მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ცნობები ლატენტურ დანაშაულზე ეკუთვნის ვლადიმერ პანკრატოვს, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში განსაზღვრა ლატენტური დანაშაული, როგორც დანაშაულების ის მთლიანობა, რომელიც ვერ იქნა გამოვლენილი პოლიციის,

პროკურატურისა და სასამართლოს მიერ შესაბამისად არ აისახა სისხლისამართლებრივად დასჯადი ქმედებების რეგისტრაციაში. [39]

მასვე ემხრობიან საკუთარი მოსაზრებით ალექსანდრე შლიაპოჩნიკოვი და გრიგორი ზაბრიანსკი: ,,ლატენტური შეიძლება ჩავთვალოთ ისეთი დანაშაული, რომელიც უცნობი დარჩა სამართალდამცავი ორგანოებიდან ერთ-ერთისთვის მაინც, რომელთაც კანონით ევალებოდათ ამ დნაშაულის გამოძიება და საქმის წარმოება.“[40]

მოცემულ სიტუაციაში ლატენტური დანასაულის განმარტება ემყარება, თვითონ იმ ფაქტს რომ ჩადენილი დანაშაული და მის შესახებ ინფორმაცია უცნობია სმართალდამცავი ორგანოებისთვის. ამ განმარტების ავტორები გამოდიან იქიდან რომ იმ შემთხვევაში თუ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა ერთ-ერთი კომპეტენტური ორგანოსთვის მაინც, ის აღარ შეიძლება იყოს ლატენტური.

ლატენტური დანაშაულის კონცეფციასთან დაკავშირებით ზემოთ თქმული მოსაზრებების გარდა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში სხვა კარგი მოსაზრებებიც გამოითქვა. ალექსანდრე კონევის განსაზღვრების თანახმად ,,ლატენტური დანაშაული გაიგება როგორც ერთიანობა ჩადენილი დანაშაულისა და ამოუწურავი ვადის, რეალურად არსებული ადგილისა და სისხლისამართლებრივი ურთიერთობის, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო უცნობი დარჩა სამართალდამცვი ორგანოებისთვის.“ [41]

მკვლევარების გარკვეული ნაწილი გვთავაზობს, რომ ლატენტური დანაშაული განვიხილოთ სამ ასპექტში: კრიმინოლოგიურ, კრიმინალისტიკურ და პროცესუალურ ასპექტებში. რათქმაუნდა ლატენტურობის ეს ასპექტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთს ავსებს. თუმცა ამ კონცეფციის

---

[39] Панкратов В.В. Косвенные методы изучения преступности // Вопросы борьбы с преступностью. Москва.1967

[40] Шляпочников А.С., Забрянский Г.И. Выявление латентной преступности // Сов. гос. и право, 1971

[41] Конев А.А. Некоторые специфические признаки латентной преступности // Проблемы борьбы с преступностью. Омск. 1977. С. 139.

ავტორების აზრით მათ დამოუკიდებლობა ჩამორთმეული არ აქვთ. ამასთან ერთად ლატენტური დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტი მათ მიერ გაგებულია როგორც დანაშაულის ერთიანობა, სადაც გათვალისწინებული არაა სისხლისსამართლის სტატისტიკა, კრიმინალისტიკურად აღმოუჩენი და გამოუძიებელი დნაშაულების ერთობლიობა, მათ მიერ ასევე პროცესუალური ასპექტიც განიხილება როგორც დანაშაულის ერთობლიობა, რომლებმაც არ მიგვიყვანეს იურიდიულ შედეგებამდე.

ჩემი აზრით ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ სწორი და ზუსტი კრიმინოლოგიური დანაშაულის ასპექტის შეფასება მოგვცა ივან დანიშინმა, რომელმაც სამართლიანად გამოსთქვა აზრი იმის თაობაზე რომ ,,ლატენტური დანაშაული კრიმინოლოგიური კატეგორისაა. ის ფარავს ნაწილს განსაზღვრული დანაშაულებებისა, ხოლო მისი შესწავლა, შედის კრიმინოლოგიის საგანში და არა კრიმინალისტიკის ან სისხლის სამართლის პროცესის საგანში.“[42]

კრიტიკულ ანალიზზე დაყრდნობით რომელიც ზემოთ იქნა წარმოდდგენილი, ლატენტურ დანაშაულთან დაკავშირებით, ასევე ჩემი პირადი მოსაზრებით მოცემულ თემაზე, მივედი იმ დაკვნამდე რომ ლატენტურ დანაშაულს გააჩნია ორი სახის ბუნება. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ბუნებრივად ლატენტური დანაშაული, რომელიც მოიცავს დანაშაულების ერთობლიობას, ასევე მათ ვინც ჩაიდინა ეს დანაშაულები რომლებიც არ გახდნენ ცნობილი იმ ორგანოებისთვის ვისაც ისინი უნდა დაერეგისტრირებინათ, ასევე იმ ორგანოებისთვის ვისაც უნდა გამოეძიებიათ ეს დანაშაულები ხოლო დამნაშავე პირები გადაეცათ მართლმსაჯულებისათვის. შესაბამისად ეს დანაშაულები არ არის აღწერილი სისხლისსამართლის სტატისტიკაში. ხოლო მეორე სახეს წარმოადგენს ხელოვნურად ლატენტური დანაშაული, რომელიც შედგება იმ ჩადენილი დანაშაულებისგან რომელთა შესახებაც ცნობილია სამართალდამცავი ორგანოებისთვის, აღრიცხულია სტატისტიკაში ან არაა აღრიცხული, მაგრამ გახსნილი არ არის ან არასრულადაა გახსნილი მათ მიერ.

---

[42] Даньшин И.Н. К вопроси о латентной преступности. Харьков. 1978

კრიმინალური წყაროების ანალიზი მოწმობს, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როცა ავტორები ბუნებრივი და ხელოვნური ლატენტური დანაშაულის კონცეფციას ემხრობიან, ეს არ იძლევა იმის გარანტიას რომ მათი სტრუქტურის ანალიზისას არ იქნება შეცდომები დაშვებული. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ გენადი ხოხრიაკოვის აზრი, რომელიც ამბობს რომ ,,ნახევრად ლატენტური დანაშაულები უნდა მივაკუთვნოთ იმ ბოლომდე გამოუძიებელ ლატენტურ დანაშაულებს როცა ფაქტი ცნობილია ლატენტური დანაშაულის ჩადენისა, მაგრამ მათი ვინაობა ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა არის დაუდგენელი.“ [43]

ჩემი აზრით ზემოთ თქმული განმარტებები ლატენტური დანაშაულისა და მისი სტრუქტურა ერთნაირად ეხება მის კიდევ ერთ სახეობას, რასაც ქვია ლატენტური დანაშაული არასრულწლოვნებში, ერთი იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით რომ ეს დანაშაულები ლატენტურად რჩებიან, მაგრამ მისი ამღსრულებლები არიან არასრულწლოვანი პირები. ხოლო სუბიექტური ლატენტური დანაშაულების შემთხვევაში სუბიექტებად გვევლინებიან არასრულწლოვანი პირები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება გარკვეული დასკვნების ჩამოყალიბება და მათი ადაპტირება არასრულწლოვანთა ლატენტურ დანაშაულზე.

1) არასრულწლოვანთა დანაშაული წარმოადგენს ერთ მთლიანობას უცნობ და დაუდგენელ დანაშაულებისას, რომელიც არაა ცნობილი სამართალდამცავი ორგაოებისთვის, ხოლო არასრულწლოვნები ვინც ეს დანაშაულები ჩაიდინეს, მათ წინააღმდეგ არ იქნა შესაბამისი ზომები მიღებული, შესაბამისი ორგანოების მხრიდან, რომელსაც ევალებოდა გამოძიება დანაშაულისა და დამნაშავის მართლმსაჯულებისათვის გადაცემა.

2) არასრულწლოვნებში ლატენტური დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანია არაიდენტიფიკაცია (დაუდგენლობა) და იმ დანაშაულების მთლიანობა რომლებიც უცნობი დარჩა სმართალდამცავი ორგანოებისთვის, შესბამისად ჩადენილი დანაშაულისთვისაც პასუხს არავინ არ აგებს.

---

[43] Указ соч. С. 402

3) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ლატენტური დანაშაულები შემდგომში წარმოქმნიან იდეალურ სისხლისამართლებრივ ურთიერთობებს. მათი ტრანსფორმაცია რეალურ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებში ხდება პროცესში, ამ ურთიერთობების იურიდიული ფიქსაციაა ბრალის წარდგენა დამნაშავე არასრულწლოვანი პირის მიმართ. შემდგობი სისხლისამართლებრივი მოქმედებები ახალი შინაარსით ავსებს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც უფრო მეტად იხსნება სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას.

თავი III. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობა

3.1. აღკვეთის ღონისძიების სახეები და მათი გამოყენების თავისებურებანი

ადამიანის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დაცულ უმთავრეს ღირებულებას წამოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის თანახმად ,, თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის დაწესება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, ადამიანის დაკავებას რაც შეეხება იგი დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში იმ უფლებამოსილი პირის მიერ, ვისაც კანონი ამის შესაძლებლობას აძლევს.“ [44]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის მიხედვით, ,,დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, პროკურორი, გამოძიების ადგილის მიხედვით , მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ხოლო თუ ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ იქნა განხილულ-გადაწყვეტილი დაკავებული უნდა გათავისუფლდეს.“

აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს იმ საპროცესო იძულებას, რომელიც დაიშვება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ. ,,სამაგიეროს გადახდის, დასჯის რაიმე ღონისძიება კი არ არის, არამედ სწორედ ბრალდებულის შესაძლო ხელისშემშლელი მოქმედებისა თუ უმოქმედობის აღკვეთის ან თავიდან აცილების საშუალებაა, იძულებითი ხასიათის ზომა, რომელზეც როგორც ,,აუცილებელ ბოროტებაზე“ ადამიანის თავისუფლების წინასწარ შეზღუდვაზე ადამიანები აუცილებლობიდან გამომდინარე, იძულებულები არიან დაყაბულდნენ ანუ შეგნებულად გაიღონ ეს მნიშვნელოვანი მსხვერპლი.“ [45]

---

[44] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 13 , იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35 (ბოლო ვერსია: 23.03.2018)

[45] გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. ,,მერიდიანი“, თბილისი, 2003გვ. 7

საინტერესო მოსაზრება აქვს ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც შემდეგს ამბობს: ,,აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება. იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელის შეშლის პრევენციის საშუალებას.“ [46]

ის საკუთარი ნორმებით განსაზღვრავს ბრალდებულის პირველ წარდგენას სასამართლოში და მის მიმართ შესაბამისი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, რაც მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს, ანუ ,, ფაქტების ან რაიმე ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.“ (წყარო: ლ. ფაფიაშვილი და სხვები, სსსსკ-ს კომენტარი, თბილისი 2015, გვ. 558)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა ემსახურებოდა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დაწყებას, სისხლისსამართლებრივ დევნას და სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, რომელიც რეგულირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან და საერთაშორისო აქტებთან შესაბამისობაში. დიდი ხნის მანძილზე არ არსებობდა, ცალკე სანონმდებლო აქტი, რომელიც ერთად მოუყრიდა თავს არასრულწლოვნებში მართლმსაჯულების განხორციელების მომწესრიგებ ნორმებს, თუმცა ცვლილებების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა 2015 წელს მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რის შემდეგაც ეს საკითხი მოგვარდა. ამ კოდექსის მთავარ მიზანს წამოადგენს ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და მოწმის უფლებათა დაცვა და მეორეული ვიქტიმიზაცია,

[46] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.06.2015 წლის საოქმო ჩანაწერი N646 II-40.

არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“ [47]

ასევე აქცენტი უნდა კეთდებოდეს იმ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის საჭიროებებზე, რომლებიც იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არის პროცესი, მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენიდან მის რესოციალიზაციამდე, რაც მოიცავს არასრულწლოვანი ბრალდებულის ურთიერთობას სამართალდამცავ, სასამართლო ორგანოებთან და პენიტენციურ სისტემაში რესოცილიზაციის ღონისძიებას, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნების, მისი წარსულის სოციალური გარემოს, დანაშაულის ფაქტობრივი და ხელის შემწყობი გარემოებების დადგენის გარეშე.“[48]

აქამდე არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე, შესაბიმისი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წესი, მიზნები და საფუძვლები რეგულირდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მაგრამ მას შემდეგ რაც 2015 წელს იქნა მიღებული ახალი არასრულწლოვანთა მართლმსჯულების კოდექსი, მან განსხვავებულად ჩამოაყალიბა არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხი. აღნიშნული კოდექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებების სახეებს წარმოადგენს:

1) გირაო

2) შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

3) პირადი თავდებობა

4) მეთვალყურეობაში გადაცემა

5) პატიმრობა

გირაო ერთ-ერთი ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებაა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ,

---

[47] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

[48] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება,“ თბილისი 2016, გვ.2

მისი გამოყენება ,,დაიშვება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე (გამონაკლისია განაჩენის აღსრულლების და გამოძიების ეტაპი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე).“[49]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გირაოს სახით ფულადი თანხის ან გირაოს უზრუნველსაყოფად უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესაძლებლობას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად ,,გირაოს რაოდენობა განისაზრვრება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. გირაოს თანხა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.“[50]

გირაოს თანხის ოდენობას და გირაოს სასამართლო აღკვეთის ღონისძიების განხილვისას არაა შეზღუდული ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის, დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეამციროს გირაოს თანხა ან გაზარდოს გირაოს გადახდის ვადა. არასრულწლოვნის რომლის მიმართაც სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო დაკავებით, ბრალდების მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე, პატიმრობის უზრუნველყოფით, რაც იმას გულისხმობს რომ ბრალდებული იქამდე დარჩება საპატიმრო დაწესებულებაში სანამ გირაოს რაოდენობის ნახევარს მაინც არ გადაიხდის.

ყველაზე მსუბუქ აღკვეთის ღონისძიებად ითვლება შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად , ბრალდებულის მიმართ შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შესაძლებელია იმ შემთხვევაში გამოიყენონ, როდესაც ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით. ასეთი აღკვეთის რონისძიების გამოყენებისას, სასამართლოს საქმის ფაქტობრივმა გარეოებებმა და ბრალდებულის პიროვნებამ,

---

[49] ფაფიაშვილი ლ., და სხვები სსსსკ-ს კომენტარი, თბილისი 2015 გვ. 575

[50] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

უნდა შეუქმნას ის რწმენა, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში ბრალდებული ხელს არ შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას და პატიოსნად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ეს აღკვეთის ღონისძიება გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. კერძოდ კრძალავს საცხოვრებელი ადგილის დატოვებას, რაც გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას სხვადასხვა მიზნიდან გამომდინარე. პირმა რომელსაც ეს აღკვეთის ღონისძიება აქვს შეფარდებული, საქმის კურსში უნდა ჩააყენოს საგამოძიებო ორგანო თუკი ის საცხოვრებელ ადგილს იცვლის. თუმცა აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინაპირობას არ წარმოადგენს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქონა, ის იმავე წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი პირის მიმართ, რომელსაც არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ცხოვრობს სხვადასხვა ნებისმიერ ადგილას. მთავარი ისაა რომ ამ აღკვეთის ღონისძიებით მიღწეულ იქნას ის შედეგი, რისი გულისთვისაც პირს შეეფარდა ეს აღკვეთის ღონისძიება.

აღკვეთის ღონისძიებებიდან კიდევ ერთი მსუბუქი საშუალებაა პირადი თავდებობა, რა დროსაც სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გამოძახებით მათთან გამოცხადებას. თავმდები პირის შესწავლისა და მისი ვინაობის დადგენის შემდგომ მათ რაოდენობასა და კანდიდატურას ის ორგანო დაადგენს, რომელიც აწარმოებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს. არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგალითად მაშინ როდესაც პირი საზოგადოებაში ცნობილი სახეა და იგი განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებს. პირადი თავმდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავმდებთა შუამავლობითა და თანხმობით, ასევე ბრალდებულის თანხმობით. პირადი თვმდებობის კანდიდატს უნდა გააცნონ, იმ ბრალდების არსი რასთან დაკავშირებულიცაა შერჩეული ეს აღკვეთის ღონისძიება, ასევე ის სასჯელი რომელიც შეიძლება დაეკისროს ბრალდებულს და ის მოსალოდნელი პასუხიმგებლობა რითაც პასუხს აგებს თავმდები პირი იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული ისეთ ქმედებას ჩაიდენს, რის აღსაკვეთადაც იქნა

გამოყენებული თავდებობა, როგორც საშუალება. თავმდები იძლევა ხელწერილს რომელიც თან დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს. თავმდებ პირს შეუძლია, იმ საფუძვლების გამოვლენამდე, რასაც მისი პასუხისმგებლობა მოსდევს უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებებზე. თუ თავდები პირები ნაკისრ ვალდებულებებს ვერ შეასრულებენ, სასამართლოს შეუძლია მათ დააკისროს ფულადი სახდელი შრომის მინიმალური ანაზღაურების ასმაგი ოდენობით. თავმდებ პირს ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში იმით შეუძლია მხოლოდ გაიმართლოს თავი, თუ დაამტკიცებს რომ მას დაუძლეველი ძალა და ფორსმაჟორული სიტუაცია, უშლიდა ხელს იმაში რომ გაეკონტროლებინა ბრალდებულის ქმედებები.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა კიდევ ერთი ნოვაციაა, ახალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და შედარებით მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებაა. მეთვალყურეობაში გადაცემა, პირადი თავმდებობისგან იმით განსხვავდება რომ თავმდებობის შემთხვევში თუ ნებისმიერ პირს შეეძლო გამხდარიყო თავმდები, (მისი, ბრალდებულის და სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს თანხმობის საფუძველზე) მეორე შემთხვევაში ,, არასრულწლოვანი ბრალდებული მეთვალყურეობაში გადაეცემა მხოლოდ მშობელს, ახლო ნათესავს, მეურვეს ან სპეციალური საბავშო დაწესებულების ადმინისტრაციას. ამათგან ერთ-ერთი კი ვალდებულებას იღებს წერილობით, რომ პირი სათანადოდ მოიქცევა და გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის მიერ გამოძახების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოცხადდება“. [51]

არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა ხდება მისი და სამეთვალყურეოდ მიმღები პირის ან დაწესებულების თანხმობის საფუძველზე. პირი რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობს, ხელწერილის ჩამორთმევის შემდეგ უნდა გააცნონ არასრულწლოვნისთვის წაყენებული ბრალისთვის მოსალოდნელი სასჯელის სახე და იმ

[51] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

პასუხისმგებლობის ზომა და სანქცია რაც მას დაეკისრება თუ ბრალდებული არ შეასრულებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს. ,,თუ მეთვალყურე პირი ვისზეც ბრალდებული არის მინდობილი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს სასამართლოს შეუძლია დააჯარიმოს 100-500 ლარამდე ოდენობით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ეს ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული“. [52]

ზემოთ ჩამოთვლილი აღკვეთის ღონისძიებებიდან ყველაზე მკაცრი ღონისძიებაა პატიმრობა არასრულწლოვნისა. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის მსგავსად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერი, მიუთითებს რომ არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თუ სხვა აღკვეთის საშუალების გამოყენება შეუძლებელია არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნების და მისი კრიმინალური მიდრეკილებების გამო. ,,საერთაშორისო სტანდარტებით არასრულწლოვნების მიმართ პატიმრობის (თავისუფლების აღკვეთის) გამოყენება აკრძალული არაა, თუმცა იგი უნდა გამოიყნებოდეს, როგორც უკიდურესი საშუალება“.[53]

გაუმართლებელია დანაშაულის სიმძიმის გამო არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვის საფუძვლის არგუმენტირებულობა, თუ კონკრეტული მტკიცებულები არ არსებობს იმის თაობაზე, რომ მოზარდი სასჯელის შიშის გამო დაემალება გამოძიებას. ,,ევრო სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ მხოლოდ იმ არგუმენტით პიროვნებისათვის პატიმრობის შეფარდება, რომ მან მძიმე ხასიათის დანაშაული ჩაიდინა, რომლისთვისაც მას თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მომავალში შეეფარდოს, დაუშვებელია“. [54]

პატიმრობის გამოყენება უფრო გამართლებულია ისეთი არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, რომლებსაც არ გააჩნით კონკრეტული საცხოვრებელი

---

[52] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 4. იხ. https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

[53] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება,“ თბილისი 2016, გვ.83

[54] ხაინდრავა ნ, ბოხაშვილი ბ, ხიდაშელი თ, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანალიზი, 2010, გვ. 46

ადგილი, ოფიციალური მისამართი, თუ გამოძიებით დამტკიცდა რომ მის მიერ ქვეყნის დატოვების ალბათობა დიდია. განსხვავებული მიდგომებია ისეთი მოზარდის მიმართ რომელიც უსახლკაროა. უსახლკარობა არ ნიშნავს დაპატიმრების საფუძველს, იმისდა მიუხედავად რომ არასრულწლოვანი უსახლკაროა თუ ამის შესახებ საქმის კურსში არიან როგორც სოციალური სამსახური ისე სამართალდამცავი ორგანოები და მისი მოძებნა შემდგომ სასამართლო პროცესზე წარსადგენად პრობლემას არ წარმოადგენს, მისთვის პატიმრობის შეფარდება ყოვლად დაუშვებელია.

3.2. სასჯელთა სახეები არასრულწლოვნებში

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან და სასჯელთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ზემოაღნიშნული საკითხი აღარ გვხვდება სისხლის სამართლის კოდექსში, ისინი გადატანილი იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, რომლის ძირითადი ნაწილიც 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

ახალმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა განსხვავებულად ჩამოაყალიბა არასულწლოვანთა სასჯელის მიზნები და შესაბამისად სასჯელის სახეებიც ამ მიზნების შესაბამისად დაადგინა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვანი არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შედარებით ადრე მოქმედებდა ისეთი სამართლებრივი ნორმებიც, რომლებიც მაგალითად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე 12 წლიდან ითვალისწინებდნენ პატიმრობას, როგორც სასჯელის ერთ-ერთ სახეს, რაც რათქმაუნდა ჩემი აზრით არ იყო სწორი, რადგან სწორედ ამ ასაკიდან იწყებს ბავშვი, როგორც გონებრივ ისე ფიზიკურ

განვითარებას და ის ამ დროისთვის ჩამოუყალიბებელია, მისი ცხეში გამოკეტვა კი მხოლოდ უარეს შედეგებს მოგვცემდა სამომავლოდ. ახალმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა კი ეს ნორმები გააუქმა რაც ძალიან მისასალმებელი ფაქტია.

ხანგრძლივი კვლევების შედეგად, ექიმებმა და ფსიქოლოგებმა დაადგინეს რომ ხშირ შემთხვევაში პიროვნება ჩამოყალიბებას 18 წლამდე სრულად ვერ ასწრებს, არამედ მათ ეს პერიოდი შეიძლება გაუგრძელდეთ 21 ან ზოგ შემთხვევაში 25 წლამდეც კი. აქედან გამომდინარე ყველა 18 წელს მიღწეულ პირზე ვერ ვიტყვით, რომ იგი ზრდასრულია, ეს ყველაფერი ინდივიდუალურია და დამოკიდებულია თვითონ პირის განვითარების დონეზე და ასე შემდეგ. მაგალითად, შეიძლება 13 წლის ბავშვი მშვენივრად აცნობიერებდეს, რომ ჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას 16 წლის მოზარდი კი ამას ვერ აცნობიერებდეს. ამიტომ ყველა იმ მოზარდზე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი არ შეიძლება გავრცელდეს ის სისხლისამართლებრივი ნორმები რაც ზრდასრულ პირებზე. მათ მიმართ გამოყენებული უნდა იქნას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სამართლებრივი ნორმები. ეს ყველაფეერი კი მას შემდეგ რაც შესწავლილი იქნება ბრალდებული პირის ბუნება და კრიმინოლოგიური მიდრეკილებები. ეს აზრი ევროპის ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული. ასაკობრივი ზღვრები კი რიგ ქვეყნებს ასეთი აქვთ: საფრანგეთის, ნიდერლანდების, გერმანიის და ინგლისის კანონმდებლობების მიხედვით, მოზარდი პირი არის 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდა. პორტუგალიაში 16-დან 21 წლამდე, შვეიცარიაში კი 18-დან 25 წლამდე. ,,ნიდერლანდების სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეს შეუძლია არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებული სასჯელი შეუფარდოს მოზრდილს, თუ ეს გამართლებულია მისი პიროვნების გათვალისწინებით“. [55]

[55] პრადელი ჟ., ,,შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან),“ 1999, გვ.485

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. (წყარო: სსსკ)

სანამ ახალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი შევიდოდა ძალაში, სასჯელის ეს მიზნები ვრცელდებოდა როგორც სრულწლოვნებზე ისე არასრულწლოვნებზე. ახალმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა კი სასჯელის მიზნების ახლი ცნება შემოგვთავაზა. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“. [56]

ახალმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა სასჯელის სახეებად შემდეგი ზომები შემოგვთავაზა:

1) ჯარიმა

2) შინაპატიმრობა

3) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

4) საზოგადოებისთვის სასრგებლო შრომა

5) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა

ამასთან თითოეული ამ სასჯელის დანიშვნისას კანონი აკეთებს ესეთ დათქმას, რომ მოსამართლე მის მიერ მიღებული თითოეული გადაწყვეტილებისას, იგი უნდა გამომდინარეობდეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინეტერესებიდან.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უპირველესი პრინციპი და შესაბამისად, სხვა ყველა საკითხზე და პრინციპზე მაღლა მდგომი. ამ კოდექსის განმარტებით ბარათში ასეთი ჩანაწერია გაკეთებული: ,, არასრულწლოვანის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების,

[56] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით".[57]

ამკ-ს 68 მუხლის თანახმად, არასრულწოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან. არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება. ჯარიმის შეფარდების დროს აუცილებელია სასამართლომ გაითვალისწინოს არასრულწლოვანის ეკონომიური მდგომარეობა, ბრალეულობის ხარისხი და მიყენებული ზიანის შესაბამისობა. როდესაც აშკარაა რომ არასრულწლოვნის ეკონომიურ მდგომარეობას, ბრალეულობის ხარისხსა და შეფარდებულ ჯარიმას შორის განსხვავებაა, ამ შემთხვევაში ის იქნება უკანონო. ,,კანონიერი საქმიანობიდან დამოუკიდბელი შემოსავლის ცნების ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არასრულწლოვნის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი საქმიანობიდან შემოსული ქონება, რომლის ჯარიმის სახით განკარგვის გადახდის უფლება აქვს არასრულწლოვანს".[58]

ეს რამდენად იქნება არასრულწლოვნის კანონიერი საქმიანობიდან შემოსული შემოსავალი ძნელი სათქმელია, რადგან ჯერ მხოლოდ 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა 75% არ მუშაობდა და არც სწავლობდა. ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური ფონიდან გამმომდინარე, ზრდასრულ ადამიანებს უჭირთ მუდმივი სამუშაო ადგილების მოძიება და შეუძლებელია იგივეს გაკეთება არასრულწლოვანს მოთხოვო. არასრულწლოვანს შეიძლება არ ჰქონდეს დამოუკიდებელი შემოსავალი, თუმცა მან შეიძლება თავის მიერ დაზოგილი ჯიბის ფულიდან გადაიხადოს დაკისრებული ჯარიმა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ

[57] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი, https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf (ბოლო ნახვა: 30.06.2020)

[58] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება," მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი", თბილისი 2016, გვ.131.

რომ ამკ-ს 68 მუხლის პირველ ნაწილში ნახსენები დამოუკიდებელი შემოსავალი არ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ არასრულწლოვნის მხრიდან რაიმე კონკრეტული შესრულებული სამუშაოსთვის მიღებულ თანხად.

შინაპატიმრობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ,,არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. შინაპატიმრობა როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის არ გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ეროვნული სააგენტო“. [59]

რაც შეეხება ელექტრონული მეთვალყურეობის გამოყენებას და მის წესებს ამას აწესრიგებს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N178 ბრძანება.

ელექტორნული მოწყობილობა როგორც წესი შედგება ორი ნაწილისგან ესენია მიმღები და გადამცემი. ეს უკანასკენლი დამაგრებულია მსჯავრდებულის ქვედა კიდურზე როოგორც წესი, ხოლო თუ ამის შესაძლებლობა არაა მაშინ მაჯაზე. მსჯავრდებული ამ ელექტრონულ სამაჯურს ატარებს მთლიანი სასჯელის ვადის განმავლობაში და ის გარდა მსჯავრდებულის ადგიმლდებარეობისა სხვა საჭირო ინფორმაციასაც გადასცემს სააგენტოს, ესენია:

1) სამაჯურის 6 საათის განმავლობაში უმოძრაობა

2) მიმღების ელექტრო ენერგიის წყაროდან გათიშვა

3) გადამცემის ან მიმღების დაზიანება

4) ტემპერატურის ცვალებადობა

[59] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

5) ორი გადამცემის ერთმანეთთან მიახლოვება და სხვა გარემოებები.

ყველაზე ადრე ელექტრონული მონიტორინგი აშშ-ს სამართლის სისტემამ აითვისა და ის პირველად 1983 წელს გამოიყენეს. ეს კი გამოიწვია იმან რომ ამ დროისთვის აშშ-ს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემა ზედმეტად გადატვირთული იყო და საჭიროებდა რაიმე სიახლეს, რაც სმაუშაო პროცესს შედარებით გაუადვილებდა პრობაციის ორგანოებს. ,,შინაპატიმრობის შემოღებას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ მისი გამოყენების ღირებულება უფრო იაფია სახელმწიფოსთვის, ვიდრე სხვა რომელიმე სასჯელი ამასთან იგი ხელს უწყობს დამნაშავეობის მონიტორინგს. გარდა ამისა, ციხის სიტუაციასთან შედარებით მსჯავრდებულს აღარ უწევს კრიმინალური მენტალობის ადამიანებთან ურთიერთობა ციხეში და სოციალური უნარ-ჩვევების დავიწყება, აღარ არის იზოლირებული საკუთარი ოჯახისგან".[60]

შინაპატიმრობისას ელექტრონული მეთვალყურეობის წარმოება იმიტომ შეიძლება ჩავთვალოთ კარგ გადაწყვეტილებად რომ ამ დროს მსჯავრდებულს გააზრებული აქვს ის ფაქტი რომ რაც არ უნდა გააკეთოს, მასზე მიმდინარეობს კონტროლი და მის თითოეულ ნაბიჯზე, ინფორმირებულები არიან სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები, ხოლო ის თუ შეთანხმებას დაარღვევს, ეს ფაქტი მათთვის აუცილებლად გახდება ცნობილი. ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება მსჯავრდებულს ნორმების დაცვა ასწავლოს და საბოლოოდ მისი აღზრდა გამოიწვიოს, რადგან მას კარგად აქვს გათვიცნობიერებული რომ დარღვევის შემთხვევაში სხვა შედარებით მკაცრი სასჯელი ელოდება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება, ერთი წლიდან სამ წლამდე ვადით. სასჯელის ეს სახე არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული უნა იქნეს, განსაკუთრებული სიფრთხილითა და მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, რადგან ის არასრულწლოვანი, რომელიც დასაქმებულია და საკუთარი შემოსავლით საზრდოობს, საქმიანობის აკრძალვამ მისთვის, შეიძლება გამოიწვიოს როგორც ფინანსური ისე სოციალური

[60] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება," თბილისი 2016, გვ.137.

პრობლემები. საქმიანობის აკრძალვა არასრულწლოვანი პირისთვის მაგალითად მაშინაა მიზანშეწონილი, როდესაც იგი ამ თავის პროფესიას თუ საქმიანობას იყენებს სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი საქმიანობების განსახორციელებლად ან ასეთისთვის ხელის შესაწყობად. ასეთი მიზეზის არ არსებობის შემთხვევაში, ჩემის აზრით გაუმართლებელია საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ისეთი არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის, რომელიც დასამქბულია და გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ჩემი აზრით, როცა პირი დაკავებულია გარკვეული საქმიანობით, რათქმაუნდა ვგულისხმობ ლეგალურ საქმიანობას, ეს მის რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას უფრო აჩქარებს, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმთავრესი ამოცანაა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ენიშნება: 1) 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. 2) თვისუფლების აღკვეთის, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად საზოგადოებისთის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს. 3) აღნიშნული სასჯელის სახე არასრულწლოვანს ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. 4) საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს შეიძენს. 5) არასრულწლოვანს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაენიშნოს დამატებით

სასჯელად იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ გათვალისწინებული არ არის. [61]

მოცემული სასჯელის აღსრულებისას ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პრობლემაა მსჯავრდებული პირების არასაკმარისი სამუშაო უნარ-ჩვევები. 2012-2014 წლებში საქართველოში ჩატარებულმა სასჯელის აღსრულების კვლევამ აჩვენა, რომ მსჯავრდებული პირების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება შეუძლებელი იყო პროფესიული უნარ-ჩვევების არქონის გამო. [62]

ამ სიტუაციას კი ჩვენს შემთხვევაში კიდევ ის ართულებს რომ მსჯავრდებული არასრულწლოვანია. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მთავარი მიზანი ხომ ისაა რომ პირველ რიგში მოხდეს არასრულწლოვანი დამნაშავე პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია რა სასჯელის ზომაც არ უნდა დაენიშნოს მას, მით უმეტეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ამ შრომის დროს უნდა გააცნობიეროს მისი დანაშაულებრივი ქმედების სოციალური არსი, სწორედ ამიტომ არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის არ შეიძლება ისეთი ხასიათის სამუშაოს დავალება, რომელიც სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს ან ისეთის, რომელმაც შეიძლება მას შეუქმნას რაიმე ტიპის საფრთხე. ამ ყველაფერს როგორც შიდა საკანონმდებლო, ისე საერთაშორისო ნორმებიც კრძალავს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანმა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა უნდა აღასრულოს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს მისი მომავლისთვის უფრო პრიორიტეტული საკითხების შესრულებაში. ,,საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შეფარდების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის კოდექსის მეოთხე მუხლის დებულება, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების საკითხებს. ამ მუხლის მეოთხე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს თუ სად არის მოზარდის შრომა აკრძალული: სათამაშო ბიზნესი,

---

[61] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, https://matsne.gov.ge/document/view/2877281?publication=16 (ბოლო ვერსია: 21.05.2020)

[62] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2014, გვ.101.

ღამის გასართობი დაწესებულება, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქცია, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადება, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება“. [63]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 14 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის შესახებ როცა მიიღება განაჩენი, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები, ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები რომლებიც არსრულწლოვნის პიროვნებისა და მისი ბუნების შესწავლაში დაგვეხმარება. ამავე კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. (წყარო: ამკ)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ამით გამოირჩევა სწორედ სისხლის სამართლის კოდექსისგან, რომელშიც 53 მუხლი მხოლოდ სასჯელის დანიშვნის ზოგად პრინციპებზე მიუთითებს, ხოლო ამკ-ს 14 და 75 მუხლებში ზოგად პრინციპებთან ერთად განხილულია ის ცხოვრებისეული და აღმზრდელობითი საკითხი რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ სასჯელის შეფარდებისას. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვნის მიმართ, გამოყენებული უნდა იქნეს, მხოლოდ და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში როდესაც სხვა სასჯელის სახეებმა, რომელიც მას ჰქონდა შეფარდებული, არ გაამართლა და იგი ისევ აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, ან მან ისეთი სიმძიმის დანაშაული ჩაიდინა რომ სხვა სასჯელის გამოყენების საშუალებას არ იძლევა. არასრულწლოვან პირს ასევე იმ შემთხვევაში შეიძლება მიესაჯოს

[63] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ, ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება,“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი, გვ.146

თავისუფლების აღკვეთა თუ მასზე შემჩნეული იქნება კრიმინალური გადახრებისკენ მიდრეკილება, რაც უნდა განსაზღვროს უფლებამოსილმა ორგანომ, სასამართლომ, არასრულწლოვნის პიროვნებისა და ბუნების შესწავლის შედეგად.[64]

მისი კრიმინალური გადახრები ასეთის არსებობის შემთხვევაში, მყარ საფუძველს უნდა იძლეოდეს იმისას, რომ იგი მომავალში ჩაიდენს დანაშაულს, რომელიც სავარაუდოდ მძიმე ხასიათის იქნება.

[64] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება," მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი", თბილისი 2016, გვ.152

თავი IV. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასათან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები

4.1. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (პეკინური წესები)

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები) მიღებულ იქნა 1985 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. პეკინის წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე არ განსაზღვრავს არც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და არც სრულწლოვანების ასაკს. წესები მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის პრინციპები გავრცელდეს სრულწლოვან ახალგაზრდებზეც. აუცილებელია მინიმუმამდე შემცირდეს არასრულწლოვანთა მიმართ დამსჯელი საშუალებების გამოყენება. არასრულწლოვნებისთვის ისეთი პირობები უნდა იყოს, რომ გამოსასწორებელი დაწესებულების დატოვების შემდეგ წარმატებით შეძლონ ცხოვრების გაგრძელება. ასევე აუცილებელია ხარვეზების გამოსწორება საშუალო და პროფესიულ განათლებაში. [65]

ზოგადი პრინციპების მიხედვით, შეგვიძლია გამოვყოთ ძირითადი მიზნები. წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ არასრულწლოვნებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობას. ასევე მათ უნდა შექმნან პირობები, რომელიც არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს შეამცირებს. სამართალდამრღვევი არასრულწლოვნების მიმართ უნდა იყოს სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა იყოს უმთავრესი სახელმწიფოებისთვის, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნების დაცვას და საზოგადოებაში მართლწესრიგის შენარჩუნებას. წესების

[65] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ. 271.

განხორციელება ქვეყანაში უნდა მოხდეს, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების შესაბამისად. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. [66]

არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მიმართ წესების გამოყენება უნდა მოხდეს მიუკერძოებლად. წესების გამოყენებისას არ აქვს მნიშვნელობა კანის ფერს, ენას, სქესს, რელიგიას, ეროვნულ ან სოციალურ წარმოშობას და სხვა ნებისმიერ ნიშანს. არასრულწლოვნის განმარტების მიხედვით დგინდება, რომ არასრულწლოვნის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სრულწლოვანისგან განსხვავებული წესები. როდესაც სამართალდარღვევაზეა საუბარი ეს გულისხმობს მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც დასჯადია არსებულ სამართლებრივ სისტემაში. არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა იყოს იმ დანაშაულის თანაზომიერი, რომელიც სამართალდამრღვევმა ჩაიდინა.[67]

არასრულწლოვანთა მიმართ სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს სასამართლო წარმოების ყველა წესი. არასრულწლოვნის მიმართ ისევე მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია, როოგრც სრულწლოვანის მიმართ. არასრულწლოვანს უნდა გააცნონ მის მიმართ წაყენებული ბრალდება, უფლება არ მისცეს ჩვენება, ადვოკატის ყოლის უფლება და სხვა. კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა ყველა ეტაპზე აუცილებელია, რადგან თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანის რეპუტაციის შელახვა. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი პიროვნების მიერ ჩადენილი დანასაულის შესახებ ინფორმაცია ისე უნდა იყოს გავრცელებული, რომ საზოგადოებამ მისი ამოცნობა ვერ შეძლოს. [68]

---

[66] საერთაშორისო სტანდარტები არსრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში“, გამომცემლობა: ,,გაეროს ბავშვთა ფონდი“, თბილისი 2011, გვ. 32.

[67] იქვე გვ., 34, 35.

[68] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ ("პეკინის წესები"), https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839ce18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf, გვ. 5,6 (ბოლო ნახვა 15.06.2020).

პეკინის წესების მეორე ნაწილი მოიცავს გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას. არასრულწლოვანის დაკავებისას ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოსა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევს შორის ისე უნდა განხორციელდეს, რომ ხელი შეეწყოს არასრულწლოვანი პირის კეთილდღეობას და თავიდან იქნეს აცილებული ისეთი გარემოებები, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეცვლა შეიძლება მოხდეს სხვა ალტერნატიული ღონისძიებებით, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი სამსახურების ჩართვას. ეს ეხება განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაული უმნიშვნელო ხასიათისაა. სიხსლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არასრულწლოვანი პირის განთავისუფლება შესაძლებელია მოხდეს გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ ეტაპზე, პოლიციის, პროკურატურის, ან სხვა ორგანოს მიერ, როგორიცაა სასამართლო და სხვა. არასრულწლოვანისთვის პასუხისმგებლობის შეწყვეტა და მის მიმართ ალტერნატიული ღონისძიების შეფარდება უნდა მოხდეს არასრულწლოვანი პირის თანხმობით, რადგან შესაძლებელია მისი სურვილი არიყოს საზოგადოებრივი შრომა, ასეთ შემთხვევაში დაირღვევა არასრულწლოვნის უფლებები, რაც დაუშვებელია. არასრულწლოვნის მიმართ არ უნდა განხორციელდეს ზეწოლა ან დაშინება. არასრულოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმის მასალების მიხედვით შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც კი შეიცვალოს ალტერნატიული ღონისძიებებით, როდესაც ჩადენილია შედარებით სერიოზული დანაშაული. შესაბამისად, პოლიციელები, რომლებიც არასრულწლოვნებს აკავებენ, აუცილებელია გაიარონ გადამზადების სპეციალიზებული კურსები, იმისათვის, რომ მათი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ იყოს სათანადო. [69]

წინასწარი პატიმრობის გამოყენება არასრულწლოვნების მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც განსაკუთრებული ზომა და ეს არუნდა გაგრძელდეს დიდხანს. წინასწარი პატიმრობა უნდა შეიცვალოს სხვა

[69] საერთაშორისო სტანდარტები არსრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში“, გამომცემლობა: ,,გაეროს ბავშვთა ფონდი“, თბილისი 2011, გვ. 37,39

ალტერნატიული ზომებით, როგორიცაა არასრულწლოვანზე მუდმივი ზედამხედველობა, აღმზრდელობითი სამუშაოები, სპეციალურ აღმზრდელობით დაწესებულებებში განთავსება და სხვა. არასრულწლოვნები, რომლებიც მოთავსებულები არიან წინასწარი პატიმრობის ადგილებში, სარგებლობენ გაეროს მიერ დამტკიცებული პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით და ყველა იმ უფლებით რომელსაც ეს წესები ითვალისწინებს. წინასწარი დაკავებისას არასრულწლოვნების განთავსება უნდა მოხდეს განცალკევებით. წინასწარი პატიმრობის პერიოდში არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოციალური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარებით. [70]

არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმე უნდა განიხილოს სამართლიანმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ. სასამართლო განხილვა ისე უნდა წარიმართოს, რომ დაცული იყოს არასრულწლოვანი პირის ინტერესები, რაც მას საშუალებას მისცემს მიიღოს მასში მონაწილეობა და თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი. სასამართლო განხილვისას არასრულწლოვანს უფლება აქვს ჰყავდეს ადვოკატი, ან მოითხოვოს უფასო იურიდიული დახმარება, იმ შემთხვევაში თუ ასეთ დახმარებას ითვალისწინებს ქვეყნის კანონმდებლობა. მშობლებს და მეურვეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს მიერ საქმის განხილვაში, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა შესაძლებელია ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ მშობლებს ან მეურვეებს უარი უთხრას მათ მონაწილეობაზე, თუ არსებობს ისეთი ვარაუდი, რომ ეს აუცილებელია არასრულწლოვნის ინტერესებისთვის. განაჩენის გამოტანამდე აუცილებელია სასამართლომ გულდასმით შეაფასოს ის გარემოებები, რაც არასრულწლოვანთან არის დაკავშირებული, კერძოდ რა გარემოში ცხოვრობდა არასრულწლოვანი, რა წინაპირობები არსებობდა, რამაც ხელი შეუწყო არასრულწლოვანს დანაშაულის ჩადენაში. ამ ყველაფრის დეტალური ანალიზი სასამართლოს შესაძლებლობას მისცეს, რომ მიიღოს სწორი

[70] საქართველოს სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი საქართველოს ნორმატიული და საერთაშორისო აქტების კრებული, ნაწილი 3, საერთაშორისო აქტები, გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, 2011 წელი, გვ.32-33.

გადაწყვეტილება. არასრულწლოვან სამართალდამრღვევს არუნდა წაერთვას თავისუფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა. არცერთი სამართალდარღვევის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სიკვდილით დასჯა, ან ფიზიკური დასჯა. პეკინის წესებით, არასრულწლოვნების ინტერესებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია ზემოქმედების სხვადასხვა ზომები, როგორიცაა: დადგენილება მეურვეობისა და ზედამხედველობის შესახებ, პრობაცია, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ფინანსური დასჯა და სხვა. არასრულწლოვანი პირის მოთავსება რომელიმე გამასწორებელ დაწესებულებაში უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომელიც შესაძლებელია გამოყენბულ იქნას მის მიმართ. [71]

ბავშვთან მოპყრობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ინსტიტუციონალური და არაინსტიტუციონალური მიდგომები. ,,პროგრესული კრიმინოლოგია მხარს უჭერს პატიმრებთან არაინსტიტუციონალურ მოპყრობას, ინსტიტუციონალურთან შედარებით. დახურულ ტიპის დაწესებულებაში განთავსებისას წარმატებები ვერ მიიღწევა, ან მათი რაოდენობა ძალიან უმნიშვნელოა, განსაკუთრებით არაინსტიტუციონალური მიდგომისას. ინსტიტუციონალიზებულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირზე არაპირდაპირი უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება ფაქტობრივად შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით ეხება არასრულწლოვნებს, რომლებიც უარყოფითი გავლენის მიმართ მოწყვლადები არიან. უფრო მეტიც, არა მარტო თავისუფლების შეზღუდვა, არამედ ჩვეული სოციალური გარემოსგან განცალკევება არასრულწლოვანთათვის ბევრად უფრო მწვავეა, ვიდრე სრულწლოვანთათვის, ვინაიდან ისინი განვითარების ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან.“[72]

---

[71] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ ("პეკინის წესები"), https://idsdge.files.wordpress.com/2017/06/e1839ee18394e18399e18398e1839ce18398e183a1-e183ace18394e183a1e18394e18391e18398.pdf, გვ. 8,9 (ბოლო ნახვა 15.06.2020)

[72] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები“, გამომცემლობა: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტი, თბილისი 2011 წელი, გვ. 174.

არასრულწლოვანთან დაკავშირებული ყველა საქმე უნდა განიხილებოდეს დაჩქარებულად ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი პირის დოსიე უნდა ინახებოდეს საიდუმლოდ და შეუძლებელი უნდა იყოს მესამე მხარისთვის მისი გაცნობა. მისი ხელმისაწვდომობა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის. არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას საქმესთან დაკავშირებული მასალები არ გამოიყენება სრულწლოვანი საქმეების განხილვისას. [73]

პეკინის წესები მიმართულია იმისკენ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განვითარდეს და გაუმჯობესდეს. აუცილებელია მუდმივი გადახედვა იმ რეგულაციების, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან, იმისათვის, რომ სწორი პოლიტიკა ჩამოყალიბდეს და მაქსიმალურად დაცული იყოს არასრულწლოვანთა უფლებები. სწორედ ამიტომ, საჭიროა პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა ხელი შეუწყონ სხვადასხვა კვლევების ჩატარებას. როდესაც საუბარია არასრულწლოვნებზე მნიშვნელოვანია მათი შეხედულებების გაზიარება და ინტერესების გათვალისწინება. ამასთან, უნდა მოხდეს ყველა რესურსის გამოყენება, მათ შორის საზოგადოების მხრიდან აქტიური ჩართულობა. [74]

პეკინის წესებით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინების შემთხვევაში სწორად მოხდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სწორი პოლიტიკის გატარება ქვეყანაში და მაქსიმალურად შემცირდება იმ დარღვევების რისკი, რაც მუდმივად თან ახლავს მართლმსაჯულების განხორციელებას. სწორი პოლიტიკა გულისხმობს სტრატეგიულ დაგეგმვარებას, სწორი შეფასების სისტემის დანერგვას და მუდმივ შეფასებას, რათა კონტროლირებადი იყოს სისტემის გამართულად მუშაობა.

---

[73] საერთაშორისო სტანდარტები არსრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში“, გამომცემლობა: ,,გაეროს ბავშვთა ფონდი“, თბილისი 2011, გვ. 45, 46.
[74] იქვე გვ. 50.

4.2. გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები).

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის 14 დეკემბერს 45/113 რეზოლუციით მიიღეს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ. აღნიშნულმა წესებმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში არასრულწლოვანთა ინტეგრაციის დაჩქარებას. ასევე ამ წესების შექმნა მიზნად ისახავდა მოსახერხებელი სტანდარტის დადგენას და ყურადღების გამახვილებას განათლებისა და რეაბილიტაციის საკითხებზე. [75]

არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი პირების მიმართ, აუცილებელია, რომ მიდგომები იყოს ერთნაირი. ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე, ფერის, რასის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის და სხვა ნებისმიერი ნიშნის მიუხედავად. აუცილებელია ეს მიდგომა დანერგონ წევრმა სახელმწიფოებმა. ვინაიდან, არასრულწლოვანი არის ბავშვი ან ახალგაზრდა ადამიანი, ამიტომ მის მიმართ გამოიყენება განსხვავებული წესები, დანაშაულის ჩადენისას.[76]

ჰავანის წესების მიხედვით, ,,იმ სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც აღიარებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნებას, ასეთი ასაკის ქვედა ზღვარი არუნდა დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მოწიფულობის ფაქტის გათვალისწინებით.“[77]

ჰავანის წესების მე-2 წესის მიხედვით, დადგენილია, რომ არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. იმისათვის, რომ ეს წესი შესრულედეს, აუცილებელია მოსამართლეებმა და სხვა სამართალდამცავმა ორგანოებმა

---

[75] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016 წელი, გვ. 273.

[76] საერთაშორისო სტანდარტები არსრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში“, გამომცემლობა: ,,გაეროს ბავშვთა ფონდი“, თბილისი 2011, გვ. 33-34.

[77] იქვე. გვ. 34.

გაათვითცნობიერონ, რომ მათი ვალდებულებაა არასრულწლოვნებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდონ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ეს შემთხვევები კანონში ზუსტად უნდა იყოს გაწერილი. ჰავანას წესების შესრულებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის ჩართულობას, რადგან მთავრობამ უნდა დაგეგმოს, ჩამოაყალიბოს და დააფინანსოს პატიმრობის ნაცვლად, სხვა ალტერნატიული ზომების გამოყენების საშუალებები, როგორც სასჯელის შეფარდებამდე, ისე სასჯელის შეფარდების შემდეგ. [78]

ჰავანის წესებით განსაზღვრულია, რომ ინფორმაცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არასრულწლოვნის მიღებისას, გადაყვანისას, ან გათავისუფლებისას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობლებს და მეურვეებს. აუცილებელია არასრულწლოვნის მიღებისას დაუყოვნებლივ მოხდეს მისი პირადი ინფორმაციის დამუშავება, რაც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას განსაზღვროს არასრულწლოვნის ასაკი. არასრულწლოვნებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მიღებისას უნდა გადაეცეთ დაწესებულების შინაგანაწესის ასლი და მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ განმარტება. არასრულწლოვანი პირის დაწესებულებაში განთავსებისას აუცილებელია მოხდეს მისი გამოკითხვა და ინდივიდუალური, სოციალური და ფსიქოლოგიური სურათის შედგენა. ეს დოკუმენტი, სამედიცინო პერსონალის მიერ შედგენილ სამედიცინო ცნობასთან ერთად იგზავნება დაწესებულების დირექტორთან, რადგან მან შეისწავლოს არასრულწლოვნის მდგომარეობა და მაგის შესაბამისად მოათავსოს იგი შესაბამის ადგილას. ჰავანის წესებით მკაცრადაა აკრძალული არასრულწლოვნების განთავსება ისეთ დაწესებულებებში, რომელშიც განთავსებულები არიან ზრდასრული მსჯავრდებულები, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, თუ ზრდასრული მსჯავრდებული არის მისი ოჯახის წევრი. ასევე არსებობს მეორე გამონაკლისი შემთხვევაც, რომლის მხიედვითაც, არასრულწლოვანი შესაძლებელია

[78] ჰამილტონი, ქ. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013 წელი, გვ. 50.

მოთავსდეს შერჩეულ ზრდასრულ ადამიანებთან ერთად, სპეციალური პროგრამით, რაც სასარგებლო უნდა იყოს კონკრეტული არასრულწლოვნისთვის.[79]

ჰავანის წესებით დადგენილია, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს აქვთ უფლება, მოთავსებულები იყვნენ ისეთ დაწესებულებებში, სადაც შეძლებენ ისეთი სერვისებით სარგებლობას, რომლებიც დააკმაყოფილებს მათი ჯანმრთელობისა და ღირსების უზრუნველყოფის ყველა მოთხოვნას. ამისათვის საჭიროა სახელმწიფოების მხრიდან მოხდეს ისეთ საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ფიზიკური ვარჯიში და სხვადასხვა აქტივობები. ასევე აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ბავშვი საკვებით და სასმელი წყლით. [80]

ჰავანის წესები განსაზღვრავს სამ ძირითად წესს, რომელიც სხვა სტანდარულ წესებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს და გამოიყენებოდეს პატიმრობაში, ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ. აღნიშნული წესების მიხედვით, არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ იურიდიული დახმარების მიღების უფლება, ასავე დამცველთან მუდმივი კონტაქტის საშუალება. ახალგაზრდებისთვის სამსახური და განათლების მიღება არ შეიძლება გახდეს პატიმრობის გაგრძელების მიზეზი. მართლმსაჯულების მიზნებიდან გამომდინარე არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ ასევე თავისუფალი დრო. [81]

ჰავანის წესების მიხედვით ყველა ბავშვს უფლება უნდა ჰქონდეს რეგულარი და ხშირი ვიზიტების მიღების, სულ მცირე კვირაში ერთხელ მაინც

---

[79] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები“, გამომცემლობა: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტი, თბილისი 2011, გვ. 177, 178.

[80] ჰამილტონი, ქ. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013, გვ. 123.

[81] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ. 274, 275.

და არანაკლებ თვეში ერთხელ ოჯახის წევრების ვიზიტი. ეს უფლება ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, რადგან იგი დაკავშირებულია ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემასთან და შეუზღუდავ კომუნიკაციასთან. ვიზიტების სიხშირის უზრუნველსაყოფად ბავშვების განთავსება ხდება ისეთ დაწესებულებებში, რომელიც ყველაზე ახლოსაა მისი ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან. ასევე მშობლებს სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულებამდე მისვლა შეძლონ. აუცილებელია ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებობდეს საჭირო სივრცე და აღჭურვილობა სხვადასხვა აქტივობებისთვის. ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ყოველდღე დაკავდეს სხვადასხვა გასართობი აქტივობით, რომელთა ნაწილიც უნდა დაეთმოს ხელოვნებას. [82]

ჰავანის წესებით დადგენილი რეგულაციების მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასჯელაღსრულებაში მყოფმა ყველა ბავშვმა შეძლოს ისარგებლოს ამ წესებით და მიიღონ სარგებელი, რადგან მათ შეძლონ განთავისუფლების შემდეგ საზოგადოებასა და ოჯახში დაბრუნება, განათლების მიღება და დასაქმება. [83]

ჰავანის წესები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს უცხოელ არასრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირებზე. წესები გამოყოფს სამი კატეგორიის თავისუფლებააღკვეთილ პირებს: პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემულ ქვეყანაში. პირები, რომელთა შემდგომი დარჩენა მოცემულ ქვეყანაში გადაწყვეტილი არ არის და პირები, რომლებსაც ქვეყნიდან გაძევებას უპირებენ. [84]

---

[82] ჰამილტონი, ქ. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები", გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013, გვ. 126, 129.

[83] იქვე, გვ. 132.

[84] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები", გამომცემლობა: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტი, თბილისი 2011, გვ. 194.

არასრულწლოვნები, რომელთა მიმართაც არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება არასრულწლოვნის იმ ქვეყნისთვის გადაცემის თაობაზე, რომლის მოქალაქეებიც არიან ეს პირები, უნდა დაექვემდებარონ და მოეპყრონ ისე, როგორც მოცემული ქვეყნის თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანს. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციას აკისრია ვალდებულება იზრუნოს არა მხოლოდ ქვეყანაში დარჩენილი არასრულწლოვნების მიმართ, არამედ უნდა იზრუნოს იმ პირებზეც, რომლებსაც ქვეყნიდან გაძევება ემუქრებათ. უცხოელ არასრულწლოვნებს უფლება აქვთ, ისარგებლონ ხანგრძლივი სატელეფონო საუბრებით თავიანთ ქვეყანასთან. მნიშვნელოვანია თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისთვის მუდმივი კონტაქტის უზრუნველყოფა, ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო სამსახურების წარმომადგენლებთან. [85]

არასრულწლოვანი ბავშვების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საზოგადოებაში დაბრუნებისას შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არასრულწლოვნებს გაეწიოთ ისეთი დახმარება, რომ მათ შეძლონ საზოგადოებაში სრულყოფილი ცხოვრების გაგრძელება და თავის დამკვიდრება. ეს დახმარება შეიძლება გამოიხატებოდეს არასრულწლოვნისთვის საცხოვრებლის მიცემაში, დასაქმებაში, საკმარისი სახსრების გამოყოფაში და სხვა. არასრულწლოვანმა დაწესებულებიდან გასვლისას უნდა შეძლოს მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ ყველაფერში ჩართული უნდა იყოს არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი, რომელთა ვალდებულებაცაა არასრულწლოვნების უფლებების დაცვა და ხელშეწყობა, იმისათვის, რომ არასრულწლოვანმა დაწესებულების დატოვებისას შეძლოს სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელება. დაწესებულების არცერთ წევრს არუნდა ჰქოდნეს უფლება წააქეზოს ნებისმიერი ქმედება ან არასრულწლოვანის მიმართ ჩაიდინოს სასტიკი ან უხეში მოპყრობა.

---

[85] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები", გამომცემლობა: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტი, თბილისი 2011, გვ. 194, 195.

მომუშავე პერსონალმა მკაცრად უნდა დაიცვას გაეროს წესებით გათვალისწინებული ვალდებულებები. პერსონალმა უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ფიზიკური და სულიერი ჯამრთელობის დაცვა. ასევე მათ პატივი უნდა სცენ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას და ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არასრულწლოვნის ღირსება არ შეილახოს. [86]

აღსანიშნავია ისიც, რომ ჰავანის წესების მიხედვით მონიტორინგის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ინსპექტირების სამსახური არუნდა იყოს ანგარიშვალდებული და არუნდა ექვემდებარებოდეს ადმინისტრირებას, რომელსაც ის ამოწმებს. ინსპექტორებს უფლება უნდა ჰქონდეთ ჩაატარონ არამარტო შეთანხმებული, არამედ შეუთანხმებელი ინსპექტირება, ასევე შეამოწმონ დაწესებულების თანამშრომლები და თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები. ინსპექტირების განმახორციელებელი პირებიც ასევე ვალდებულები არიან დაიცვან კონფიდენციალურობა. [87]

ჰავანის წესების სრული დაცვით არასრულწლოვნებს შესაძლებლობა ექნებათ შეცვალონ თავიანთი ცხოვრება. წესების დაცვით და მონიტორინგის განხორციელებით აღმოიფხვრება ის პრობლემები, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.

ჰავანის წესებით დადგენილი რეგულაციების შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს წესები მაქსიმალურად მიმართულია ბავშვთა უფლებების დაცვისკენ, რაც უზრუნველყოფს სწორი პოლიტიკის გატარებას.

---

[86] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ. 281, 283.

[87] ჰამილტონი, ქ. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013, გვ. 132.

თავი V. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რაც გამოწვეულია, როგორც მართლმსაჯულებაში არსებული ხარვეზებით, ისე საზოგადოების დამოკიდებულებით არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით. ასევე პრობლემები ჩნდება არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვასთან, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასთან და მართლწესრიგის დაცვასთან დაკავშირებით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრობლემატიკიდან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის პრობლემაა, რომ იმ სახელმწიფო უწყებებისა თუ ორგანოების თანამშრომლებს, რომელთაც პირველ რიგში უწევთ შეხება არასრულწლოვან ბრალდებულთან თუ მსჯავრდებულთან, როგორც წესი არ აქვთ ხოლმე შესაბამისი გადამზადების სრული კურსი გავლილი და აქედან გამომდინარე არ აქვთ იმ დონის კვალიფიკაცია, რომელიც საჭიროა არასრულწლოვან პირთან ურთიერთობისას, როდესაც იგი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სტატუსს იღებს.

არასრულწლოვან ბრალდებულს, როდესაც პირველი შეხება აქვს პოლიციასთან იგი მათ მიმართ მტრულად კიარ უნდა განეწყოს, არამედ პირიქით იგი მათში ერთგვარ დამხმარეს უნდა ხედავდეს, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში. სამწუხაროდ ეს ასე არაა, რასაც ხელს უწყობს, როგორც კადრების არაპროფესიონალიზმი ზოგ შემთხვევაში, ისე საზოგადოებაში არსებული ,,შავური“ სუბკულტურის გავლენა, რადგან ხშირ შემთხვევაში ბავშვები მათი უფროსი თაობებისგან სწავლობენ იმას რომ პოლიცია ,,ცუდია“, ხოლო სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობა და თანამშრომლობა კი ,,სამარცხვინო საქციელი“.

ეს ყველაფერი კი საწყისებს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იღებს და სამწუხაროდ მისი გავლენა დღევანდელ საზოგადოებაშიც საკმაოდ დიდია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მართლმსაჯულება ცდილობს ყველანაირი საერთაშორისო შეთანხმებების დაცვით გადაწვიტოს სასამართლო დავები, მითუმეტეს იმ შემთხვევებში როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია, მაინც არის ისეთი შემთხვევები როდესაც ისინი ზოგ შემთხვევაში ვერ იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს, რითაც ირღვევა საერთაშორისო შეთანხმებები. სასამართლოსთვის და ზოგადად მართლმსაჯულებისთვის უპირველესი ხომ ისაა რომ არასრულწლოვანი ააცილოს იმ ცუდ გარემოსა და ზეგავლენას რასაც ციხე ქვია, რათა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის შანსი არასრულწლოვნისა შედარებით დიდი იყოს, ზემოაღნიშნული მცდარი გადაწყვეტილებებით კი შეიძლება ეს შანსი დაიკარგოს. სწორედ ამიტომ ეს შანსი რომ არ იქნას ხელიდან გაშვებული, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საერთაშორისო სტანდარტებითა და ადგილობრივი კანონმდებლობის სრული დაცვით, მით უფრო როცა ბრალდებული არასრულწლოვანია. სასამართლომ იგი უნდა უზრუნველყოს, სწრაფი მართლმსაჯულების პროცესით და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

ასეთი შემთხვევები საკმაოდაა ქართული სასამართლოს პრაქტიკაში, ერთ-ერთი ასეთია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, (საქმე N265აპ-15, 29 ივნისი 2015 წელი) რომელმაც წინა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში შეიტანა ცვლილებები ზემოთ ნახსენები ხარვეზებიდან გამომდინარე.

საქმე ეხებოდა არასრულწლოვან ბრალდებულ კ.მ-ს, რომელსაც ბრალად ედებოდა ქურდობა სსსკ-ის 177 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. საქმის არსებითი განხილვისას კი ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, საერთოდ არ გაითვალისწინა საერთაშორისო შეთანხმებების ნორმები (რომელთაც უპირატესი ძალა გააჩნიათ, შიდა ნორმატიულ აქტებთან, თუკი ის ქვეყნის კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება) და განაჩენი ისე გამოუტანა ბრალდებულს, ასევე მის მიმართ დაირღვა სწრაფი მართლმსაჯულების პროცესის პრინციპი, რაც ასევე მიუთითა თავისი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში საკასაციო სასამართლომ და

ამის არგუმენტებად მოყავს პეკინური წესები, კერძოდ მისი მე-20 მუხლი, რომელიც გაუმართლებელი დაყოვნების თავიდან აცილებას გულისხმობს მართლმსაჯულების განხორციელებისას. აგრეთვე არგუმენტად მოყავს ბავშვის უფლებების კომიტეტის N10 კომენტარი, რომლიც ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას და არასრულწლოვანი პირის მიმართ ტიპიური დასჯის გამოყენების მაგივრად, რესოციალიზაცია რეაბილიტაციაზე ზრუნვას, რათა მომავალში მოხდეს პრევენცია დანაშაულისა.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ იმოქმედა და გამოვიდა რა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან, და საერთაშორისო სტანდარტებიდან, დააკმაყოფილა კასატორი კ.მ-ს საჩივარი და მას შეუფარდა 4 წლით გამოსაცდელი ვადა, ხოლო მასზე ზედამხედველობა დაევალა პრობაციის ბიუროს.[88]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, მსგავსი ხარვეზები როგორიც ადგილობრივ მართლმსაჯულებაშია არ გვხვდება, პირიქით ევრო სასამათლო ასეთი ხარვეზების აღმოფხვრაზე და სხვადასხვა ქვეყნებში მიღებული მცდარი გადაწყვეტილებების გამოსწორებისკენ მიისწრაფვის, მითუმეტეს როცა საქმე არასრულწლოვან ბრალდებულს ან მსჯავრდებულს ეხება.

ერთ-ერთი ასეთი ხარვეზია საქმე, სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ(საჩივირის N36391/02, გადაწვეტილების მიღების თარიღი 27.11..2008) სადაც სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში თურქეთმა დაარღვია ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება, რის გამოც ბრალდებულმა თავის დროზე ვერ ისარგებლა შესაბამისი იურიდიული დახმარებით. პოლიციაში იგი დაკითხეს კანონიერი წარმომადგენლისა და უფლების დამცველის გარეშე, რის საფუძველზეც მისგან მიიღეს სასურველი ჩვენება ზეწოლით. ეს გარემოებები ბრალდებულის მხრიდან სასამართლო პროცესზეც იქნა გაჟღერებული, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსამართლემ ავთენტურად ჩათვალა პოლიციისთვის მიცემული ჩვენება და მას 30 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ეს

[88] http://www.supremecourt.ge/ (ბოლო ნახვა: 01.07.2020)

გადაწყვეტილება კი ევრო სასამართლომ ერთხმად აღიარა ადამიანის უფლების დარღვევად, რაც გამოწვეული იყო იმით რომ ბრალდებული მითუმეტეს როდეესაც იგი არასრულწლოვანია, არ იყო უზრუნველყოფილი ადვოკატით დაკავებიდან პირველივე ეტაპზე როდესაც მას პოლიცია კითხავდა.

ევრო სასამართლომ თურქეთს ამ საქმეზე ბრალდებულისთვის 2000 ევროს გადახდა დააკისრა, არამატერიალური ზიანის მიყენების გამო და მიუთითა შემდეგზე: საქმე ხელახლა უნდა იქნეს განხილული ადგილობრივი სასამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არასრულწლოვნის მიერ სასჯელის მოხდისგან თავის არიდების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება არის საქართველოს კონსტიტუციით და ევროპული კონვენციით უკანონო სასჯელი, რომელიც წამების ტოლფასია. ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან არ გამომდინარეობს სასჯელის მოხდისგან თავის არიდებისას ხანდაზმულობის ვადის შეჩერების აქტის წამებასთან გაიგივება. ევროპული სასამართლო სასჯელთან დაკავშირებულ საკითხთა მოწესრიგებას სახელმწიფოს არჩევანს ანდობს, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს უვადო თავისუფლების აღკვეთა. [89]

უზენაესი სასამართლო მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს არასრულწლოვანთა უფლებების საერთაშორისო გარანტიებთან დაკავშირებით, კერძოდ სსსკ-ის 316-ე მუხლთან მიმართებით. იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, რომლის მიხედვითაც ირღვევა არასრულწლოვნის უფლებები და საზოგადოებაში ვერ ხდება ასეთი პირის რესოციალიზაცია, ამისთვის საჭიროა საერთაშორორისო პრინციპებისა და ნორმებისათვის უპირატესი იურიდიული ძალის მინიჭება. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობასი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის

[89] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეტა პალატის, 2017 წლის 17 მარტის N 558აპ-16 გადაწყვეტილება, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx (ბოლო ნახვა: 23.06.2020)

საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებით, თუ ისინი არ ეწიააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. [90]

არასრულწლოვნებთან მიმართებით ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საგამოძიებო კოლეგიამ განმარტა, რომ სასამართლომ და სამართალდამცველმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების წევრს წარმოადგენს და მისი განვითარება მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ არასრულწლოვანი განსაკუთრებით მგრძნობიარეა მის გარშემო არსებული მოვლენების მიმართ. არასრულწლოვან დამნაშავეს სრულყოფილად არ შეუძლია გაიაზროს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. სწორედ ამიტომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ მის ხელახალ აღზრდას, იმისათვის, რომ ასეთი არასრულწლოვნების რესოციალიზაცია მოხდეს საზოგადოებაში. აუცილებელია არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას ეს ღონისძიება იყოს სიზუსტით შერჩეული და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი. ყველა ქმედება არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ არასრულწლოვანმა შეძლოს საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება. [91]

არასრულწლოვნებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება სასამართლოს მიერ უნდა მოხდეს განსაკუთრებულად ფრთხილი დამოკიდებულებით. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეფასდეს სიზუსტით და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. არასრულწლოვნების მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების

---

[90] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის, 2015 წლის 29 ივნისის N 265აპ-15, გადაწყვეტილება, http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx (ბოლო ნახვა 23.06.2020)

[91] თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის, 2015 წლის 25 თებერვლის N 1გ/178-15 განჩინება, http://www.library.court.ge/judgements/74072015-03-09.pdf (ბოლო ნახვა 23.06.2020)

მიღებისას აუცილებელია პერსონალური მიდგომა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არასრულწლოვნებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიების მაგალითები იშვიათად გვხვდება, რადგან სასამართლო ყოველთვის ითვალისიწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. [92]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გარემოებას ასახელებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დასაშვებია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება: თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მაშინ როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომ ბრალდებული:

- სასამართლო ხელისუფლების წინაშე არ გამოცხადდება.
- გათავისუფლების შემთხვევაში, ხელს შეუშლის მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას.
- სხვა დანაშაულს ჩაიდენს ან გაიმეორებს დანაშაულს.
- საჯარო წესრიგს დაარღვევს.[93]

[92]კვაჭაძე მ., ,,აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“ საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2019, გვ.26.
[93] იქვე. გვ. 26, 27.

თავი VI. არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილება (პრევენცია)

XXI საუკუნეში საზოგადოების წინაშე მდგარი, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და სოციალურად მნიშვნელოვანი ამოცანაა, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებისა და სამართალდარღვევების ზრდის შემცირებისა და მათი პრევენციის ეფექტურობის გაზრდა. ,, დანაშაულის პრევენცია არის სახელმწიფო და კერძო სექტორების მონდომება დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად და რეპრესიული ღონისძიებებით დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილება“. [94]

ამ თემის აქტუალობა იმითაა ნაკარნახევი, რომ დღესდღეისობით სულ უფრო მეტი მოზარდი ხდება ,,რისკ ჯგუფის“ წევრი, რომლებიც გარკვეული ძალის ზემოქმედების შედეგად რაც მათ ცხოვრებაში მომხდარი გარკვეული გარემოებებითაა გამოწვეული, უფრო მეტად იტვირთებიან გარე ნეგატიური ზემოქმედებით. საზოგადოებისა და მისი კრიმინალური ელემენტებისგან. წინააღმდეგობრივია ის, რომ რაოდენობა იმ მოზარდებისა რომლებიც ,,რისკ ჯგუფს“ განეკუთვნებიან იზრდება, ამიტომაც საჭიროა ახალი მეთოდები პრევენციული სამუშაოებისა მსგავს მოზარდებში.

სულ უფრო იზრდება სკოლებში ,,რისკ ჯგუფის“ მოზარდთა რაოდენობა, ამასთან ერთად თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გაიაზრონ, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ გადაჭრაზე. არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება შეიძლება, თუ პრევენციულ სამუშაოებში ჩაერთვება ოჯახი და არასრულწლოვნის უახლოესი წრე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი თუ რატომაც ჩადიან არასრულწლოვნები სამართალდარღვევებს, მათი მორალური და ზნეობრივი აღზრდის ნაკლებობაა. არასრულწლოვნების ასაკობრივი თვისებები, მოითხოვს ამ კონტიგენტთან ფსიქოლოგიურად და მეთოდოლოგიურად კომპეტენტურ მიდგომას.

---

[94] შალიკაშვილი მ., ,,კრიმინოლოგია“, თბილისი 2010, გვ. 283.

კრიმინალური გადახრების დროულად შემჩნევამ, ბავშვებში და მოზარდებში, ასევე სწორად ორგანიზებულმა პედაგოგიურმა დახმარებამ, შეიძლება მიგვიყვანოს დანაშაულებისა და სამართალდარღვევების აღმოფხვრამდე.

სამწუხაროდ ერთადერთი სამთავრობო ორგანო, რომელიც საქართველოში რეალურად ეწეოდა არასრულწლოვნებში დანაშულის წინააღმდეგ მიმართულ პრევენციულ საქმიანობას, იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაცია ,,მცირეწლოვანთა ინსპექტირება", რომელიც 2006 წლის ნოემბრამდე არსებობდა. ამ ორგანიზაციას აღრიცხული ჰყავდა ის ბავშვები, რომლებსაც ან უკვე ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული ან შემჩნეულნი იყვნენ ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში, რაც ისევ გულისხმობს სკოლის რეგულარულ გაცდენას. 14-18 წლის მოზარდების აღრიცხვა ხდებოდა სკოლებიდან, მეზობლებისგან, პოლიციის განყოფილებიდან, ხან კი მშობლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუზველზე.

,,მცირეწლოვანთა ინსპექტირების" თანამშრომლები ბავშვებს და მოზარდებს ხვდებოდნენსკოლებში და ატარებდნენ რიგ პრევენციულ სამუშაოებს, რაც პრევენციის კუთხით მართლაც რომ ეფექტური იყო. 2006 წელს ეს ორგანიზაცია გაუქმდა და მისი ფუნქციები შეითავსა საპატრულო პოლიციამ. ,,თუმცა საპატრულო პოლიცია არ არის დაკავებული მსგავსი საქმიანობით და მათ პირად შემადგენლობაში არც ჰყავთ ისეთი კადრები, რომლებიც გადამზადებულები არიან არასრულწლოვნებთან მუშაობის სფეროში".[95]

ჩემი აზრით, მოცემული ორგანიზაციის გაუქმება იყო დიდი შეცდომა, რადგან ამ ნაბიჯით სახელმწიფომ დაკარგა ის ძირითადი ორგანო, რომელიც რეალურად ასრულებდა დანაშუალის პრევენციის საქმიანობას არასრულწლოვნებში.

გამოარჩევენ მოზარდების არანორმალური ქცევის შემდეგ ეტაპებს, რომლებიც შემდგომ ჩარევას საჭიროებს:

---

[95] ჰამილტონი ქ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007.

1) დაუშვებელი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია ბოროტებასთან, ურჩობასთან, სიჯიუტესთან და უსამართლობასთან.
2) დაგმობილი ქცევა, რომელიც მეტნაკლებად გამოწვეულია გარშემომყოფთა განკითხვისგან, მასწავლებლებისგან მშობლებისგან და ასე შემდეგ. (დისპილინის ეპიზოდური დარღვევა, უხეშობის, თავხედობის და უსმართლობის შემთხვევები)
3) ცუდი ქცევები, რომლებიც მორალურად უაროფითი საქციელები და ქმედებებია და რომლებმაც უკვე მიიღეს სისტემატიური ხასიათი. (მოტყუება, ეგოიზმი, კონფლიქტურობა, აგრესიულობა, ქურდობა და სხვა.)
4) წინადანაშაულებრივი ქცევა, რომელიც თავისთავში უკვე ატარებს, დანაშაულებრივი და დესტრუქტიული ქცევის საწყისებს. (ნორმების ეპიზოდური განზრახ დარღვევა, რომლებიც საზოგადოებაში არეგულირებს ადამიანების ქცევასა და ურთიერთობებს, ხულიგნობა, ცემა, გამოძალვა, ალკოჰოლისა და სხვა სათრობი საშუალებების მიღება, დისციპლინისა და ზოგადად მიღებული ქცევის წესების მკაცრი დარღვევა)
5) უკანონო ან დანაშაულებრივი ქცევა, რომელიც დაკავშირებულია სხვადახვა სახის უკანონობასთან და დანაშაულებებთან.

ზემოთ ჩამოთვლილ ეტაპებზე წინ კი სპეციალისტები აღნიშნავენ მშობლის როლს, რომ ჯერ მათ უნდა გასწიონ რიგი აღმზრდელობითი სამუშაოები რათა არ მივიღოთ არასრულწლოვანთა გადახრები მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისადმი. კერძოდ კი სპეციალისტები მშობლებს ასეთ რეკომენდაციებს აძლევენ:

ბავშობიდან ასწავლონ საკუთარ შვილებს საზოგადოებაში ცხოვრების სწორი წესები. ადრე ბავშობის ასაკშივე უნდა ასწავლონ მათ რომ არ შეიძლება წართმევა, გაფუჭება, და დაუკითხავად სხვისი ნივთის აღება. ასევე ფოკუსირება უნდა მოახდინონ ბავშვების პასუხისმგებლურ ქცევებზე. აჩვენონ ის დადებითი რეზულტატი რაც მათი შეცდომების გამოსწორებისკენ სწრაფვას ახლავს თან,

ასევე ასწავლონ შესაძლებლობები თუ როგორ გამოასწორონ მათ მიერ ჩადენილი ცუდი საქციელი. ბავშვებმა ასევე უნდა იცოდნენ ,,ფულის ფასი", რათა შემდგომ უკეთ შეძლონ მისი მართვა და ბიუჯეტის დაგეგმარება.

ბოლოს რაც მთავარია, აჩვენონ თავის შვილებს საკუთარი დადებითი მაგალითი, რადგან აქ აქვს მნიშვნელობა მას რას ასწავლიან, ისინი მაინც ისე მოიქცევიან როგორც იქცევიან მათი მშობლები.

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის მიზნებია, მოქალაქეთა უსაფრთხოების დონის ამაღლება, კანონის და წესრიგის განმტკიცება ყველა პრევენციული სუბიექტის ურთიერთქმედების ოპტიმიზაციით, მუნიციპალიტეტების, დასახლებების, ადგილობრივი თვითმმართველობების, სამართალდამცავი ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და მოსახლეობის მცდელობების კონსოლიდაციით, არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის პრევენციის საქმეში. არასრულწლოვანთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, სოციალურად საშიში მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვნების, სოციალურ პედაგოგიური რეაბილიტაცია. ეს ყველაფერი კი საჭიროა იმისათის, რომ თავიდან აცილებულ იქნას ქვეყანაში კრიმინალური მაჩვებებლის ზრდა, იქნება ეს არასრულწლოვნებში თუ სრულწლოვნებში, რადგან დღეს არ გადაჭრილი პრობლემა არასრულწლოვანში, ხვალ ახალ პრობლემას წარმოქმნის აწ უკვე სრულწლოვნის სახით.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განვიხილე არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი ძირითადი ასპექტები, თუ რა დეტალებსა და ნიუანსებს მოიცავს აღნიშნული ასპექტები, როცა საქმე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან გვაქვს.

მოცემულ ნაშრომში განხილული თემებიდან და იმ საკითხებიდან გამომდინარე, რომელიც ჩემს მიერ იქნა დამუშავებული, შემიძლია შემდეგი სახის დასკვნა გამოვიტანო:

დღეს-დღეისობით საქართველოს კანონმდებლობა არასრულწლოვანებთან მიმართებით, მაქსიმალურადაა დაახლოებული საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, (მაგ: ევრო სასამართლოს რეკომენდაციები) მაგრამ ქვეყანაში არსებულ სასამართლო პრაქტიკაში მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლო საკუთარი გადაწყვეტილების მიღებისას, ზოგ შემთხვევაში ვერ გამოდის არასრულწლოვანი პირის საუკეთესო ინტერესებიდან, რაც ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა. სწორედ ამიტომაა აუცილებელი რომ სასამართლოს მხრიდან თითოეული დეტალი იქნეს კარგად შესწავლილი სანამ იგი გადაწყვეტილებას მიიღებს, მით უფრო როცა საქმე არასრულწლოვანს ეხება, რადგან მისთვის შეფარდებული ესა თუ ის ნორმა დამსჯელობითი ხასიათის კიარ უნდა იყოს არამედ ამღზრდელობითი ხასიათის რადგან მოზარდი რომელიც ჯერ ჩამოყალიბების გზაზეა სახელმწიფომ, ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის რომ იგი დააბრუნოს საზოგადოებაში, რათა ჩამოყალიბდეს საზოგადოების წევრ სრულფასოვან ინდივიდად და არა მომავალ კრიმინალად, რომლიც ახალ დანაშაულებებს ჩაიდენს.

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში ასევე ყურადღება გავამახვილე სხვა ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებზე, რომლებსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ვაწყდებით. ერთ-ერთი ასეთია არაკვალიფიციური კადრების არსებობა, აქ საუბარია იმ სახელმწიფო ორგანოებისა თუ უწყებების თანამშრომლებზე რომელთაც უშუალო შეხება უწევთ არასრულწლოვან

ბრალდებულებთან თუ მსჯავრდებულებთან, რადგან მოგეხსენებათ რომ სრულწლოვანი პირებისგან განსხვავებით, არასრულწლოვან პირს სრულიად განსხვავებული და სპეციფიური მიდგომა სჭირდება, სადაც ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზიც იგულისხმება. ასეთი შემთხვევები კი არამხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც საკმაოდ მრავლადაა.

მათ (თანამშრომლებს) სამწუხაროდ, მიუხედავად სპეციალიზაციისა არ აქვთ სათანადო ცოდნა და გამოცდილება, რათა ეფექურად მოახდინონ არასრულწლოვან პირებთან მუშაობა, რომ მას(არასრულწლოვანს) მომავალში სახელმწიფო ორგანოების მიმართ არა უაროფითი, არამედ დადებითი დამოკიდებულება დარჩეს, რაც პირდაპირაა დაკავშირებული დანაშაულის პრევენციასთან.

პრობლემატურია ასევე ახალგაზრდებში ეგრედწოდებული ,,ქურდული“ მენტალიტეტის გავლენა, რა დროსაც მოზარდთა გარკვეული ნაწილი ამ ცუდი გავლენის ქვეშ ექცევა და რისი საშუალებითაც, ისინი ცდილობენ თვითდამკვიდრებას თანატოლებში, თუ იმ სკოლებში სადაც ისინი სწავლობენ.

ამ პრობლემებიდან ყველაზე კარგი გამოსავალი ისაა, რომ შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც დაკვირვებას და აღწერას ჩაატარებს იმ მოზარდებისას, რომელთაც კრიმინალური მიდრეკილებები გააჩნიათ, ხოლო ამის შემდეგ მათთან ჩაატარებს ხანგრძლივ პრევენციულ და აღმზრდელობით სამუშაოებს, ეს ყველაფერი კი რათქმაუნდა უნდა მოხდეს შესაბამისად გადამზადებული და კვალიფიციური კადრების ძალისხმევითა და უშუალო მონაწილეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. სისხლის სამართლის კოდექსი.
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.
4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.
5. საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.
6. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებითი ბარათი.
2. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო. ადამიანის უფლებათა ცენტრი. თბილისი 2019.
3. ,,ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“, კანონმდებლობის კვლევა, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017.
4. გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, გამომც. ,,მერიდიანი“, თბილისი2003.
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ ("პეკინის წესები").
6. გვენეტაძე ნ., გოცირიძე გ, თორდია ვ, ,,მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“
7. კვაჭაძე მ., ,,აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“ საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი, 2019.

8. პრადელი ჟ., ,,შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან),“ 1999.
9. საერთაშორისო სტანდარტები არსრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში“, გამომცემლობა: ,,გაეროს ბავშვთა ფონდი“, თბილისი 2011.
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.06.2015 წლის საოქმო ჩანაწერი N646 II-40.
11. საქართველოს სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი საქართველოს ნორმატიული და საერთაშორისო აქტების კრებული, ნაწილი 3, საერთაშორისო აქტები, გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, 2011.
12. შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები“ გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბილისი 2011.
13. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი 2014.
14. შალიკაშვილი მ., ,,კრიმინოლოგია“, თბილისი 2010.
15. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბილისი 2016.
16. შირაკოვი გ, ,,კრიმინოლოგია,“ მინსკი 2006.
17. ხაინდრავა ნ, ბოხაშვილი ბ, ხიდაშელი თ, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანალიზი, 2010.
18. ჰამილტონი ქ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი.
19. ჰამილტონი, ქ. ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები“, გამომცემლობა: გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013.

20. Панкратов В.В. Косвенные методы изучения преступности // Вопросы борьбы с преступностью. Москва.1967
21. Шляпочников А.С., Забрянский Г.И. Выявление латентной преступности // Сов. гос. и право, 1971
22. Указ соч. С. 402
23. Конев А.А. Некоторые специфические признаки латентной преступности // Проблемы борьбы с преступностью. Омск. 1977. С. 139
24. Даньшин И.Н. К вопроси о латентной преступности. Харьков. 1978

ინტერნეტ რესურსები:

1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426
2. http://www.supremecourt.ge/
3. https://www.geostat.ge/ka
4. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2864
5. http://dictionary.css.ge/content/frustration-aggression-hypothesis

განაცხადი

განაცხადი როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბონდო როსტიაშვილი

2020 წელი